პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ოქტომბერი პარასკევი 2009

№238(12917) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კანავარო დოპინგზე ჩავარდა

მსოფლიო ფეხბურთი

>> გვერდი 5-8

ანუ რა ბზიკმა უკბინა სკუადრა აძურას კაპიტანს საქართველოსთან მატჩამდე?



## ფაჩულიას ჩვიდმეტიანი გაელვება

ზაზა მოედანზე და მოედნის მიღმა

# მჭედლიძის უცნაური ფენომენი



>> გვერდი 2

## მორიგი სანაკრებო მატჩი და ისევ ტრავმა

მჭედლიძემ შეკრება დატოვა



## სანიკიძემ სნაიპერის შაშხანა დაიბრუნა

ციცაძემ ლარისა დაიბრიყვა

სალეგიონო ამბები >> გვერდი 11



ინტერვიუ

## გამარჯვებული ბატიშვილი ბრუნდება?

ვინც იქ იყო წამოსული, დღეს უკვე ყველა საქართველოშია...

>> გვერდი 10

ეროვნული ნაკრები | ჩერნოგორია-საქართველო | შეკრების მესამე დღე

# მჭედლიძე ისევ გამოგვაკლდა

გუშინ ეროვნულმა ნაკრებმა ორჯერ ივარჯიშა, ყველაზე საინტერესო და სამწუხარო ამბავი დილას მოხდა - **ლევან მჭედლიძემ** კუნთი დაიჭიმა და ექიმთა შეფასებით, ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. შესაბამისად, „პალერმოს" ფორვარდის ჩერნოგორიასა და ბულგარეთში თამაში გამოირიცხა და იგი გუშინ საღამოსვე დაბრუნდა იტალიაში. ძალიან ცუდია, რომ მჭედლიძის პერმანენტულ ტრავმიანობას არა და არ უჩანს დასასრული, უკვე დიდი ხანია, ლევანი საქართველოს ნაკრებს აღარ დახმარებია.

გუშინ დილას ასევე დაშავდა **გრიგოლ ბედიაშვილი**. „ვიტ ჯორჯიას" მეკარეს „სამტრედიასთან" მატჩში ნატკენი ხელის თითი გაუმიზეზდა. თუმცა იგი საწვრთნელ პროცესს არ გამოეკლებია - საღამოს სრული დატვირთვით ივარჯიშა, მაგრამ კარში აღარ ჩამდგარა და ზუსტად ისეთივე დავალებები მიიღო, როგორიც მინდვრის სხვა მოთამაშეებმა. მან ამ სტატუსით ორმხრივ თამაშშიც ითამაშა.

საღამოს ვარჯიში **თენგიზ სულაქველიძის** საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ჩატარდა. წვრთნამ საათნახევარი გასტანა და როგორც ყოველთვის, **ექტორ კუპერმა** ეს პროცესი ამჯერადაც ჩვეულ სტილში წარმართა.

აქცენტი ამჯერადაც ბურთთან მუშაობაზე გაკეთდა. კუპერი ფეხბურთელებისგან აქტიურად მოითხოვდა სტანდარტული სიტუაციებისა და ფლანგური ჩაწოდებების ხარისხიანად შესრულებას. რამდენიმე ეპიზოდში მოთამაშეებისთვის ბურთის წართმევას თვით კუპერი ცდილობდა. ფეხბურთელებმა ტრადიციული „კვადრატიც" ითამაშეს.

ვარჯიში ორმხრივი თამაშით დასრულდა, რომელიც ნახევარ მოედანზე გაიმართა. ნაკრების წევრებს მონდომება განსაკუთრებით ამ დროს ეტყობოდათ, გოლები მრავლად გავიდა და თითოეულ გატანილ ბურთს ფეხბურთელები ხმაურიანად აღნიშნავდნენ. თამაშის დროს მცირე ტრავმა მიიღო **კახა კალაძემ**, მაგრამ წესით, საგანგაშო არაფერი უნდა იყოს.

ნაკრები ჩერნოგორიის დედაქალაქ პოდგორიცაში დღეს, დილის 11-ის ნახევარზე უნდა გამგზავრებულიყო ჩარტერული ავიარეისით. დისკვალიფიკაციის გამო გუნდს ჩერნოგორიაში ვერ დაეხმარება **ლევან კობიაშვილი**, სამაგიეროდ, იგი ბულგარეთში ითამაშებს. ასევე ბულგარეთისთვის დაემატება ეროვნულ გუნდს **ლევან ყენია**, რომელიც მანამდე ირლანდია-საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში ითამაშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**






ფეხბურთი და TV

## პოდგორიციდან კი, მაგრამ დუბლინი...

10 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩერნოგორიას ესტუმრება და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლოსწინა შეხვედრას გამართავს. „პირველი არხის" სპორტული პროდიუსერის **დავით მინაშვილის** თქმით, ამ მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი შაბათს 21 საათზე დაიწყება.

სამწუხაროდ, არ იგეგმება ტრანსლაცია დუბლინიდან, სადაც დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ირლანდიელ თანატოლებს საკვალიფიკაციო მატჩში ეთამაშება.

**მერაბ მამულაშვილი**

## კახა კალაძე

# მთავარია, ეს ცვლილებები დეკორაციული არ იყოს

### ქეცბაიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჯერ კუპერთან ერთად უნდა მოვიგოთ...

**საქართველოს ნაკრების ბოლო ორ საკვალიფიკაციო მატჩს ერთადერთი ინტრიგა შემორჩა - მოვიგებთ თუ არა ამ შესარჩევში თუნდაც ერთ მატჩს? საინტერესოა, რა განწყობაა ეროვნულ გუნდში და ეს ყველაზე უკეთ, მთავარ მწვრთნელთან ერთად, ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ უნდა იცოდეს. ამას გარდა, მას ფეხბურთის ფედერაციაში მომხდარ ცვლილებებზეც ვკითხეთ...**

**- რას იტყვის ეროვნული ნაკრების კაპიტანი გუნდში არსებულ სიტუაციაზე? როგორ მიდის მზადება შესარჩევი ციკლის დასკვნითი მატჩებისთვის?**

- მართალია, საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩებია, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. ასე რომ, მზადება ჩვეულებრივი რიტმით მიდის და როგორც ვატყობ, ნაკრებში გამოძახებული ყველა ფეხბურთელი სწორედ ამ ორ მატჩზეა კონცენტრირებული.

**- სამწუხაროდ, ნაკრებმა ჯერჯერობით ვერ შეძლო გულშემატკივრების გახარება, ამ შესარჩევში ერთი მატჩიც არ მოგვიგია. თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ ტრადიციას არ ვუღალატებთ და კუდს მაინც მოვიქნევთ. უნდა გვქონდეს ამისი იმედი?**

- ამ ორ შეხვედრაში სული და გული უნდა ჩავდოთ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რათა ამ ციკლში როგორმე ერთი მატჩი მაინც მოვიგოთ. პირადად მე ამაში არარეალურს ვერაფერს ვხედავ, ეს ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება. ასე რომ, ბალკანეთში იმედებით მივდივართ. სრული მობილიზებით უნდა ვითამაშოთ და იმედი მაქვს, იღბალიც არ გვიღალატებს. ორიდან ერთი მატჩი მაინც რომ მოვიგოთ, ეს იქნება მცირე რეაბილიტაცია ჩვენი ქომაგების თვალში. კიდევ ერთხელ ვამბობ - ბიჭები მზად არიან, საამისოდ ყველაფერი გააკეთონ, მთელი ძალები გაიღონ.

**- ჩერნოგორიასა და ბულგარეთს ტრავმების გამო ფეხბურთელები გამოაკლდნენ. ეს კი გარკვეულწილად ზრდის ჩვენს შანსებს...**

- ვიცი, რომ ჩერნოგორიელთა ლიდერი მირკო ვუჩინიჩი ტრავმირებულია. ის „რომაში" თამაშობს და კარგადაც ვიცნობ, მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთელი და ყველა გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ ახლა ნაკლებად უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რამდენი ტრავმირებული ჰყავს ერთ ან მეორე გუნდს ან რა პრობლემები აწუხებს, ჩვენი მიზანი მაინც უცვლელია - უნდა გავიმარჯვოთ და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ითამაშებს ვუჩინიჩი თუ არა. ნებისმიერ შემთხვევაში მოედანზე ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. ამას ქვეყნის ღირსება, ეროვნული ნაკრების მაისურა გვავალდებულებს. ასეთ დროს ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ, რომ ნაკრების უკან საქართველო, მილიონობით გულშემატკივარია.

**- გეტყობათ, რომ ბალკანეთზე ოპტიმისტური განწყობით მიემგზავრებით...**

- არ მახსოვს, ოდესმე პესიმისტური განწყობა მქონოდა. წარმატების თუ არ გჯერა, მაშინ მიზნის მიღწევა ძალიან გაგიჭირდება. ეს არის რეალობა და ჩემი პრაქტიკიდანაც კარგად ვიცი.

**- ქართულ ფეხბურთში მმართველობა შეიცვალა. რიგგარეშე ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად ზვიად სიჭინავა აირჩიეს. როგორც ეროვნული ნაკრების კაპიტანი და ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ავტორიტეტული ფიგურა, რას იტყოდით ამ ცვლილებაზე?**

- ფაქტი ის არის, ქართულ ფეხბურთში, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი მდგომარეობაა და ეს აუცილებლად საჭიროებდა ცვლილებებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს არ უნდა იყოს დეკორაციული ცვლილება - ერთი კაცის მეორე კაცით შეცვლას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ პრობლემა პრობლემად დარჩა და სიტუაცია არ გამოსწორდა. ეს პრობლემები კი იმდენად ღრმაა, რომ მარტო საკადრო გადაადგილებები სიკეთეს ვერ მოგვიტანს, ვითარება თვისობრივად უნდა შეიცვალოს, პირველ რიგში საქმისადმი, უფრო სწორად, ფეხბურთისადმი მიდგომას ვგულისხმობ. სახლის შენება სახურავიდან კი არა, საძირკვლიდან იწყება. სახურავი ეროვნული ნაკრებია, საძირკველი კი ბავშვთა ფეხბურთი, ინფრასტრუქტურა, ეროვნული ჩემპიონატი, მსაჯობა... გულშემატკივარი ტრიბუნაზე უნდა დავაბრუნოთ... ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ჩვენი ფეხბურთი ბიზნესისთვის მიმზიდველი გახდეს. ამაში სახელმწიფოს დახმარებაა საჭირო. და კარგი იქნება, თუ ეს დახმარება არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მიმართულებით იქნება. თუ ქართულ ფეხბურთში დასაქმებული ყველა რგოლი რეალურ საქმეებს გააკეთებს, შედეგიც მალე მოვა.

**- ზვიად სიჭინავა ბაზაზე ექტორ კუპერსა და თქვენ შეგხვდათ. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტზე?**

- აშკარად ჩანს, რომ უყვარს ქართული ფეხბურთი და გულით უნდა, მდგომარეობა გამოასწოროს. ყველამ იცის, რა გააკეთა მან ზუგდიდში - ფეხბურთში კაპიტალი ჩადო, კარგი ბაზა და სტადიონი აჩუქა რეგიონს. როგორ გავიგე, მას უფრო მეტის გაკეთება უნდა, მაგრამ ამ გეგმების რეალიზებისთვის, როგორც წელან ვთქვი, სახელმწიფოსგან მხარდაჭერა აუცილებელი იქნება. მერწმუნეთ, სხვაგვარად ამ რთული მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. ზვიად სიჭინავა ძლიერ მონდომებულია და რეალურად სურს საქმის კეთება.

**- აშკარაა, რომ ექტორ კუპერის შემცვლელად თემურ ქეცბაიას კანდიდატურა განიხილება. ამაზე რას იტყოდით?**

- რა გითხრათ, აბა... პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ჩემი მოვალეობაა, ბოლომდე ვიბრძოლო მოედანზე, ყველაფერი გავიღო ნაკრების წარმატებისთვის... ხოლო თუ ვინ იქნება ეროვნული ნაკრების თავკაცი, ეს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს, ჩვენ კი, მოთამაშეებმა, ქეცბაია იქნება მწვრთნელი თუ კუპერი, ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. პირადად მე, ქეცბაიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ნაკრების მწვრთნელი კუპერია და მისი ხელმძღვანელობით ორი მნიშვნელოვანი მატჩი უნდა ჩავატაროთ. ახლა სწორედ ამ მატჩებზე ვართ კონცენტრირებულნი. საერთოდ, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი განსაკუთრებული თემაა და სჯობს, ამაზე სანაკრებო მატჩების შემდეგ ვილაპარაკოთ.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U 19

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ. ინტერვიუ და მეტოქეთა წარდგენა

# გელა შეყილაძე: არ იფიქროთ, რომ თავს ვიმართლებ...


გელა შეყილაძე: ფარცვანიამ საქართველოში თამაში თავად არ ისურვა

**დღეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს იწყებს. მოგეხსენებათ, ჯგუფური რაუნდის მატჩებს შვედეთი მასპინძლობს. მათ გარდა, ჩვენი მეტოქეები იქნებიან უკრაინა და ჩერნოგორია. ჯგუფური ეტაპიდან ელიტრაუნდში ორი გამარჯვებული გადის... საინტერესოა, როგორ მოემზადა ჩვენი გუნდი შესარჩევი ეტაპისთვის, რა დონის მეტოქეები გვყავს, რამდენად ნაყოფიერად გამოვიყენეთ მოსამზადებელი ეტაპი, რა შანსები გვაქვს ელიტრაუნდში გასვლისთვის და ასე შემდეგ... სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ 19-წლამდელთა თავკაც გელა შეყილაძეს გუშინ შვედეთში დავუკავშირდით...**

**- 9 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება. კმაყოფილი ხართ გუნდის მომზადებით? ეფექტიანად გამოიყენეთ ეს პერიოდი?**

- ამ ეტაპისთვის მზადებას მე პირადად ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოდან შევუდექი, როცა გადაწყდა, რომ 19-წლამდელთა ნაკრებისთვის უნდა მეხელმძღვანელა. იმ დღიდან დავიწყე სელექცია, კონსულტაციები მქონდა სხვა მწვრთნელებთან, თითქმის ყველა რეგიონი მოვიარეთ და ადგილზე გავმართეთ საწვრთნელი მატჩები. ცხადია, აქაურების გარდა, უცხოეთში ვეძებდით ტალანტებს. მე მგონი, კარგად ვიმუშავეთ, ნაყოფიერი იყო ეს პერიოდი და ვნახოთ, ყველაფერი შვედეთში გამოჩნდება.

**- ლეგიონერებიდან ვინ გამოცადეთ?**

- ლევან ვაშაკიძე ინგლისური „შეფილდიდან“, კვირიკაშვილი რუსული „ლოკომოტივიდან“, გიორგი დარასელია ისრაელიდან, დათო ვაშაკიძე კიევის „არსენალიდან“, პაატა ბალაძე მოსკოვის ცსკა-დან, ავთანდილ ებრალიძე ესპანური „ხეტაფედან“, გიორგი დიასამიძე პორტუგალიური „ესპერანსადან“... ამას გარდა, ოთხი უცხოური შეკრებაც გავმართეთ. ერთი სიტყვით, ნამდვილად კარგი პირობები იყო საიმისოდ, რომ გუნდი ნორმალურად მოგვემზადებინა. ამ მხრივ, პრეტენზია არავის უნდა ჰქონდეს.

**- ახლა შეგიძლიათ, თქვათ, რომ ისეთი გუნდი გყავთ, როგორიც გსურდათ, გყოლოდათ?**

- ძნელი სათქმელია... მჯობნის მჯობნს რა დალევს... წელს შესარჩევ ციკლში ასპარეზობა 1991 წელში დაბადებულებს უწევთ. სიმართლე გითხრათ, 1990-იანელებისგან განსხვავებით, 91-იანებში იმდენი გამორჩეული მოთამაშე არ არის. სამაგიეროდ, უკეთესია 1992 წელს დაბადებულთა თაობა და ამიტომაც დავიმატეთ მათგან ფეხბურთელები იმ პოზიციებზე, რომელთა გაძლიერებაც გვჭირდებოდა.

**- საკადრო პრობლემები ახსენეთ. საინტერესოა, რატომ არ წაიყვანეთ შვედეთში „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველი აკაკი გოგია?**

- კარგია, რომ ეს მკითხეთ. გოგია მართლაც დიდი ტალანტის მქონე ფეხბურთელია. გერმანელებმა ის რეგიონის 19-წლამდელთა ნაკრებშიც ათამაშეს და თან არაერთხელ. ჩვენც ძალიან გვინდოდა, ის შვედეთში გვყოლოდა, მაგრამ... ვფიქრობ, მასაც ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ ამ ეტაპზე არ მოხერხდა. გოგიას მშობლებმა ბოლოსლა გვითხრეს, საბუთების პრობლემაა და ამ ეტაპზე აკაკი ნაკრებს ვერ დაეხმარებაო.

**- დასკვნითი მოსამზადებელი შეკრება ავსტრიაში გაიარეთ, მანამდე კი შვეიცარიაში ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარეთ, რომელთაგან ერთი - გამანადგურებელი ანგარიშით 7:0 წააგეთ. მიზეზი თუ გაარკვიეთ? ყოველ შემთხვევაში, ბევრ მინუსს დაინახავდით...**

- შვეიცარიას ჩვენს ასაკში ჩინებული გუნდი ჰყავს, კარგი მწვრთნელითა და შემადგენლობით. სხვათა შორის, ისინი ჯგუფური ეტაპიდან ელიტრაუნდში უკვე გავიდნენ. ჯგუფში მათ ლიტვა და ესტონეთი 5-5 უპასუხო გოლით დაამარცხეს, მხოლოდ ხორვატიასთან წააგეს და ჯგუფიდან მეორე ადგილით გავიდნენ... რაც შეეხება ჩვენს 0:7-ს, პირველი მატჩი იყო, ნამგზავრები ვიყავით და თან ძლიერი შემადგენლობაც არ გვყავდა, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოვცადეთ. აშკარად აკლდა კონცენტრაცია, პირველ ტაიმში 3 ბურთი გავუშვით, არადა, სამი ნაღდი საგოლე მომენტი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ, შვეიცარიელებმა კი სულ 8-ჯერ დაგვირტყეს და 7 გოლი გაგვიტანეს. არ იფიქროთ, თავს ვიმართლებდე, უბრალოდ, მკითხეთ და მეც ფაქტებს გიყვებით... საერთოდ, უკვალოდ არაფერი რჩება და ეს წაგებაც გაკვეთილი იყო ჩვენთვის. ამიტომაც იყო, მეორე მატჩი იმავე გუნდს 1:0 რომ მოვუგეთ. ამ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ შვეიცარიის დონის გუნდებთან თამაში და წარმატებაზე ფიქრი შეგვიძლია.

**- ახლა დასკვნითი ავსტრიული შეკრება შევაფასოთ...**

- ავსტრიაშიც ჩინებულ პირობებში ვემზადებოდით. იცით, რომ ერთი საკონტროლო მატჩი 12:2 მოვიგეთ, მერე კი „კერნტენის“ 19-წლამდელებს, რომელთაც 6 ფეხბურთელი მთავარი გუნდიდან ჰყავდათ დამატებული, 1:0 ვძლიეთ. შემიძლია გითხრათ, რომ ავსტრიაშიც ნაყოფიერი მზადება გავიარეთ, კომბინაციები დავხვეწეთ და ტაქტიკური ვარიანტებიც დავამუშავეთ.

**- ჩვენს ჯგუფში ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- ვფიქრობ, ფავორიტი უკრაინაა. სექტემბრის დასაწყისში ამ ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. მართალია, ეს 1990 წელს დაბადებულთა ტურნირი იყო, მაგრამ უკრაინელებს იქ ერთი წლით უმცროსებიც ჰყავდა წაყვანილი და მათი სახით უკვე გამოცდილი გუნდი დაგვიპირისპირდება. იმ გუნდიდან დღეს 6 ფეხბურთელი ჰყავთ - მეკარე, სამი მცველი და ორიც ნახევარმცველი. მათ შორის, ერთი ქართველიც - მცველი თემურ ფარცვანია.

**- ჰოდა, ბუნებრივად იბადება კითხვა - რატომაა თემურ ფარცვანია უკრაინის და არა საქართველოს ნაკრებში?**

- მასზე ბევრი კარგი რამ მსმენია, ვიცი, დიდი ნიჭის პატრონია. სხვათა შორის, როცა 17-წლამდელთა ნაკრებში ჰერბერტ ცანკერის თანაშემწე ვიყავი, სწორედ მაშინ განიხილებოდა ჭაბუკთა ნაკრებში მისი მოწვევის საკითხი, მაგრამ არ გამოვიდა. ცანკერმა ერთხელ დანანებით მითხრა - გავიგე, თავად ფარცვანიას არ უნდა საქართველოში თამაში და უკრაინა აირჩიაო.

**- ჯგუფის სხვა მეტოქეებზე რა იცით?**

- ყველა მეტოქის თამაშის ჩანაწერი გვაქვს და შემიძლია გითხრათ, რომ შვედეთი ჩერნოგორიას სჯობია. მასპინძლებს სამი გამორჩეული ლეგიონერი ჰყავთ - „ლივერპულიდან“, „ლეჩედან“ და „ჰეერენვეენიდან“. შვედები ტიპურ ჩრდილოურ ფეხბურთს თამაშობენ, ჩერნოგორიაც არ არის სუსტი მეტოქე.

**- შარშან 17-წლამდელთა ნაკრები ჯგუფური ეტაპიდან ელიტრაუნდში გაიყვანეთ. იმ კონტინგენტიდან ახლა რამდენიმე ფეხბურთელი გყავთ. შეძლებთ, კიდევ ერთხელ გადალახოთ ჯგუფური რაუნდი?**

- შვედეთში სწორედ საამისოდ ვიბრძოლებთ, ვიბრძოლებთ ბოლომდე! სოლიდური მეტოქეები გვყავს - ევროპის ჩემპიონი, მასპინძლები და ჩერნოგორია, რომელიც, უკვე გითხარით, ნამდვილად არ არის სუსტი გუნდი. ერთი სიტყვით, მეტოქეები ძლიერი გვყავს. იმედია, ფეხბურთელები მაქსიმუმს გაიღებენ, იღბალიც არ შეგვაქცევს ზურგს და თავს გამოვიჩენთ.

**განცხადება**

მინიფეხბურთის პროფესიული კლუბი „ალგო“ სინჯებზე იწვევს 17-20 წლის ფეხბურთელებს. მსურველებს გავლილი უნდა ჰქონდეთ საფეხბურთო სკოლა. სასურველია, ჰქონდეთ საქართველოს ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება. სინჯები ჩატარდება თბილისში. მსურველებმა დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ 897 742 247.

ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ და სპორტული სააგენტო SBM გთავაზობთ მინიფეხბურთში ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მეორე გათამაშებაში მონაწილეობას, რომელიც ნოემბერში დაიწყება და 2010 წლის მაისამდე გასტანს.

გათამაშებაში ვიწვევთ კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების გუნდებს.

ტურნირი სამოყვარულოა და მოქმედი ფეხბურთელების მონაწილეობა აკრძალულია.

ტურნირს მოემსახურებიან ფიფას კატეგორიის არბიტრები. მიმდინარეობა გაშუქდება სპორტული პრესით, ვებგვერდებით და ტელევიზიით.

სამონაწილეო გადასახადის ნაწილი მოხმარდება საქველმოქმედო აქციებს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 877 742 247

# დღეს ჩემპიონით ვიწყებთ

**წარმოგიდგენთ მეტოქეებს, რომელთაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შვედეთში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეხვდება:**

## უკრაინა

უკრაინელმა 19-წლამდელებმა სექტემბრის დასაწყისში კონტინენტის ჩემპიონობა იზეიმეს. **ანატოლი ბუზნიკის** გუნდში საჩემპიონო შემადგენლობიდან ორი ფეხბურთელია - მცველი **თემურ ფარცვანია** და მეკარე **იგორ ლევჩენკო**. დანარჩენი 3 ოქროსმედალოსანი კი ევროპის ჩემპიონატის დროს უმთავრესად შეცვლაზე თამაშობდა. უკრაინელთა შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები - **მაქსიმ კოვალი** (მეტალურგი ზ), **იგორ ლევჩენკო** (ოლიმპიკი დონეცკი);

მცველები - **ალექსანდრ გოლიკოვი**, **იაროსლავ ოლეინიკი** (ორივე შახტარი), **ანტონ კრავჩენკო** (დნიპრო), **თემურ ფარცვანია**, **ოლეგ პოლიშჩუკი** (ორივე დინამო), **ვასილ პრიმა** (მეტალურგი დონეცკი);

ნახევარმცველები - **მაქსიმ ვორობეი**, **ევგენი ზადოია**, **სერგეი სიდორჩუკი** (ყველა მეტალურგი ზაპოროჟიე), **დმიტრი გრეჩიშკინი**, **ვიტალი ფედოტოვი** (ორივე შახტარი), **ვიტალი სოკურენკო** (დინამო);

თავდამსხმელები - **რომან კარასიუკი**, **ევგენი პავლოვი** (ვოლინი), **არტურ კასკოვი** (მეტალურგი ზაპოროჟიე), **ალექსანდრ ოვჩინიკოვი** (შახტარი).

უკრაინელებმა აგვისტოში თურქეთთან ორი საშინაო ამხანაგური მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს - 1:0 და 2:1. სექტემბერში კი ბუზნიკის შეგირდებმა სერბეთის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს, სადაც ისრაელთან დაზავდნენ - 1:1, უნგრეთს 2:0 მოუგეს, მასპინძელ სერბებთან კი დამარცხდნენ - 0:1.

ამ ტურნირზე მოთამაშე 23 ფეხბურთელიდან უკრაინელებს 4 ტრავმირებული გამოაკლდათ, თუმცა ისინი გუნდში ამინდს ვერ ქმნიდნენ. მცველი **სერგეი კრივცოვი** კი 21-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს.

„მართალია, ცალკეული ფეხბურთელები გამოგვაკლდნენ, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ჩვენ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს და შეგვიძლია, ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლოთ. რაც შეეხება მეტოქეებს, ვფიქრობ, ჩვენი ჯგუფი მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდებითაა დაკომპლექტებული და ყველა მატჩში მძიმე ბრძოლაა მოსალოდნელი“, - უთხრა ბუზნიკმა უკრაინელ ჟურნალისტებს.

## შვედეთი

მასპინძლებს 3 ლეგიონერი ჰყავთ - თითო ყველა სათამაშო რგოლში, გარდა მეკარისა. **ულფ სვენსონის** გუნდში „ლეჩეს“ მცველი **ანდრე მიოლესტამი** დაცვის ბურჯია და შეტევების ორგანიზებაც ეხერხება. ნახევარდაცვაში ყველაზე გამორჩეულია შუახაზელი **ალექსანდერ კასანიკლიჩი**, რომელიც „ლივერპულის“ ახალგაზრდულ გუნდში ირიცხება. შეტევაში კი „ჰეერენვეენის“ ფორვარდ **რობინ ერიკსონთან** ერთად ჩრდილოაფრიკული წარმოშობის **სამუელ აზიზიც** გამოირჩევა. სვენსონის 18 რჩეულს შორის არიან:

მეკარეები - **სებასტიანი ფრიკი** (ჰეკენი), **დევიდ ნილსონი** (ნორჩეპინგი);

მცველები - **ტიმ ბიორგსტრომი** (ბრომაპოიკარნა), **მიკაელ დირესტამი** (გიოტებორგი), **პერ გულდა** (ჰალმსტადი), **ანტონ ლანსი** (ელფსბორგი), **ანდრე მიოლესტამი** (ლეჩე, იტალია), **ფილიპ სტენსტრიომი** (მალმიო);

ნახევარმცველები - **მუამედ ასანოვსკი** (მალმიო), **ნაპირ ბესარა** (ასირიისკა), **ალექსანდერ კასანიკლიჩი** (ლივერპული, ინგლისი), **ლირიდონ კალუდრა** (ლუნგსკილე), **ვიქტორ ლუნგბერგი** (აიკ), **იოჰან ლუნდგრენი** (გიოტებორგი);

თავდამსხმელები - **სამუელ აზიზი** (ჰელსინგბორგი), **რობინ ერიკსონი** (ჰეერენვეენი, ჰოლანდია), **ემილ ფორსბერგი** (სუნდსვალი), **პონტუს იანსონი** (მალმიო).

სვენსონის გუნდმა აგვისტოში ფინელებთან ორი გასვლითი მატჩი გამართა. სკანდინავიურ დერბიში შვედები ჯერ 2:3 დამარცხდნენ, მერე კი 1:0 მოიგეს. მეტოქეს ორი სპარინგი ჰქონდა სექტემბერშიც - შვედებმა დანიაში ჯერ 3:0 მოიგეს, ხოლო შემდეგ 3:1 დამარცხდნენ.

## ჩერნოგორია

უცნაურია, მაგრამ ჩერნოგორიის 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა შვედეთში არა 18, არამედ 22 ფეხბურთელი წაიყვანა. აქედანაც ჩანს, რომ ბალკანელები სკანდინავიაში აუტსაიდერის როლს არ შეეგუებიან და ჯგუფიდან გასვლისთვის ბოლომდე იბრძოლებენ. ჩერნოგორიელთა თავკაცმა ეს პრესასთან საუბარშიც აღნიშნა. **მიოდრაგ რადულოვიჩის** შემადგენლობა კი ასეთია:

მეკარეები - **იასმინ აგოვიჩი** (ბუდუჩნოსტი), **მარკო დაბოვიჩი** (მოგრენი), **ბლაჟო რადოვიჩი** (ცრვენა სტიენა);

მცველები - **სტივენ სავიჩი** (ბაშკ ბორჩა, სერბეთი), **ნენად მატიჩი** (ზეტა), **იგორ ზონიჩი** (ბანატი, სერბეთი), **მარკო ფილიპოვიჩი** (ჩუკარიჩკი, სერბეთი), **ანდრია სიწუმოვიჩი** (გრბალი), **ბოშკო კონტიჩი**, **ილია ბულატოვიჩი** (ორივე სუტიესკა);

ნახევარმცველები - **მარკო ვეშოვიჩი**, **იოლან ნიკოლიჩი** (ორივე ბუდუჩნოსტი), **ადის დოკოვიჩი** (დეჩიში), **ბენიამინ კაჩიჩი** (მომარი), **ალექსანდრ შეკიჩი** (ბერანა), **მილოშ კოვაჩევიჩი** (ჰაიდუკი კულა, სერბეთი), **ნემანია ვლაჰოვიჩი** (ზეტა), **ივან ბოიჩი** (რადი);

თავდამსხმელები - **ივან მარაში** (ჰაიდუკი კულა, სერბეთი), **სტეფან დენკოვიჩი** (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), **სრდან აიკოვიჩი** (რადი), **ვლადან რადოვიჩი** (ბერანა).

**13 ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორ-ორი გამარჯვებული და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის. მატჩების განრიგსაც გავეცნოთ:**

**9 ოქტომბერი**

შვედეთი-ჩერნოგორია
უკრაინა-საქართველო

**11 ოქტომბერი**

შვედეთი-საქართველო
ჩერნოგორია-უკრაინა

**14 ოქტომბერი**

უკრაინა-შვედეთი
საქართველო-ჩერნოგორია

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

U 21



ბუბა დაუშვილი

# ბუბას და დონის იმედები

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკვე ირლანდიაშია. 7 და 8 ოქტომბერს ოთარ გაბელიამ ფეხბურთელები ტაქტიკურ და პრაქტიკულ დავალებებზე ამუშავა, ერთად ნახეს ესტონეთი-ირლანდიის 9 სექტემბრის მატჩის ვიდეოჩანაწერი და მეტოქეზე გარკვეული წარმოდგენაც შეიქმნეს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები იმედიანად არიან. თურქებთან გამარჯვებით შეგულიანებული „ზესტაფონის" საყრდენი ნახევარმცველი ბუბა დაუშვილი ფიქრობს, რომ გამარჯვება ირლანდიასთანაც შესაძლებელია, თუნდაც საგარეო მატჩში. ბუბას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ბუბა, ირლანდიაში როგორი განწყობით მიემგზავრები?**

- სანაკრებო შეხვედრები ყოველთვის დაძაბულია და არ მეგულება ჩვენს ჯგუფში გუნდი, რომელთანაც მოდუნება შეიძლება. ყველასთან უნდა ვიბრძოლოთ და გვქონდეს ჩვენი თავის რწმენა, რწმენა იმისი, რომ ყველა გუნდის დამარცხება შეგვიძლია. თურქებთან ეს მოვახერხეთ და რატომ არ შეიძლება, ახლა ირლანდიასაც მოვუგოთ? როცა საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხარ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- ეტყობა, გული გწყდება, ავადმყოფობის გამო თურქებთან მატჩში რომ ვერ ითამაშე...**

- ასეთ მატჩში მონაწილეობას ნებისმიერი ფეხბურთელი ინატრებდა. თამაშს ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს და მართლაც გული მწყდებოდა, რომ მაინცდამაინც იმ დღეებში გავხდი ავად და ბიჭებს ვერ ვეხმარებოდი. თუმცა ყველაფერი წინაა, ჯერ მხოლოდ ორი შეხვედრა ჩავატარეთ. ვეცდებით, ჯგუფური ეტაპი გადავლახოთ.

**- ირლანდიის ნაკრებზე როგორი წარმოდგენა გაქვს?**

- ვიცით, რა ფეხბურთსაც თამაშობენ, აქტიურად იყენებენ ფლანგებს და, რაც მთავარია, ბოლო წუთებამდე კაცურად იბრძვიან, მოკლედ, ბრიტანულ სტილს არ ღალატობენ. თან მათი დიდი ნაწილი ხომ ინგლისურ კლუბებში თამაშობს. მოედანზე მოტივირებული უნდა გავიდეთ. რთული თამაშია, მეტოქეც ერთობ სერიოზულია, მაგრამ... სწორედ ამიტომ უნდა მოვიგოთ.

■ ■ ■

ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დონ გივენსმა** ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებისთვის (9 ოქტომბერს საქართველოსთან, 13-ში შვეიცარიასთან) ძირითადად ინგლისურ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები გამოიძახა. ირლანდიური პრემიერლიგის ერთადერთი წარმომადგენელი „გოლუეი იუნაიტედის" ცენტრალური მცველი **სიმუს კონელი** გახლავთ, მთლიანობაში კი მასპინძელთა შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები - **შეინ რედმონდი** (ბარტონი, ინგლისი), **სტივენ ჰენდერსონი** (ბრისტოლი, ინგლისი);

მცველები - **სიმუს კონელი** (გოლუეი იუნაიტედი, ირლანდია), **დარენ დენეჰი** (ჰერეფორდი, ინგლისი), **სიმუს კოულმენი** (ევერტონი, ინგლისი), **ბრენდან მოლონი** (ნოთს ქაუნთი, ინგლისი), **კალუმ მორისი** (ნიუკასლი, ინგლისი), **გევინ განინგი** (ბლექბერნი, ინგლისი);

ნახევარმცველები - **შონ ჰატონი** (ლინკოლნი, ინგლისი), **სტივენ გლისონი** (დონსი, ინგლისი), **ოუენ გარვანი** (იფსვიჩი, ინგლისი), **ჯეიმს ბერეტი** (ჰადერსფილდი, ინგლისი), **ჯეიმს მაკკარტი** (უიგანი, ინგლისი), **ალან ჯაჯი** (პლიმუთი, ინგლისი), **ჯეი ო'ში** (ბირმინგემი, ინგლისი);

თავდამსხმელები - **კილიან შერიდანი** (პლიმუთი, ინგლისი), **ჯეიმს კოლინზი** (ასტონ ვილა, ინგლისი), **შონ სკანელი** (კრისტალ პალასი, ინგლისი), **კეიტ ტრეისი** (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი).

მატჩი 9 ოქტომბერს „თელეით სტედიუმზე", თბილისის დროით 22:45 საათზე დაიწყება. სხვათა შორის, ირლანდიელები დუბლინის ამ ახალაშენებულ სტადიონზე პირველ შეხვედრას ატარებენ, რაც მათ მწვრთნელ დონ გივენსს დამატებით იმედს აძლევს.

*„მოუთმენლად ველოდებით ორ საშინაო მატჩს თელეითსა და უოტერფორდში (სადაც შვეიცარიას მასპინძლობენ - ავტ). ახალი სტადიონი ჩინებულად გამოიყურება და ვფიქრობ, 9 ოქტომბერს საქართველოსთან მატჩი განსაკუთრებული მოვლენა უნდა გახდეს. ჩვენ მარტში ესპანეთს გულშემატკივრების დახმარებით მოვუგეთ, რადგან ტრიბუნები ბოლომდე შეივსო და ხალხის მხარდაჭერამ ფეხბურთელებიც გაამხნევა. ვფიქრობ, აქამდე დაკარგული ქულების ანაზღაურებას ამ ორ შეხვედრაში მოვახერხებთ",* - ამბობს გივენსი.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე შესარჩევში ირლანდიელებმა შინ შვეიცარიასთან 0:3 წააგეს, გასვლაზე კი ესტონეთს ვერ მოუგეს - 1:1. ჩვენს ჯგუფში ასეთი სატურნირო სიტუაციაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| 3. შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 4. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 5. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 3 |
| 6. სომხეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 4-10 | 0 |

ირლანდია-საქართველოს გარდა, 9 ოქტომბერს ტალინში ესტონეთი-შვეიცარიის მატჩიც გაიმართება. წლის ბოლომდე კი ასეთი განრიგია:

**13 ოქტომბერი**

თურქეთი-სომხეთი

ირლანდია-შვეიცარია

**14 ნოემბერი**

თურქეთი-შვეიცარია

სომხეთი-ესტონეთი

საქართველო-ირლანდია

**17 ნოემბერი**

სომხეთი-ირლანდია

**18 ნოემბერი**

შვეიცარია-საქართველო

თურქეთი-ესტონეთი

სტუმრები

# ფრაგა, დარტყმა, არის!

## ოლიმპმა სიმურგს სძლია

ზაქათალის „სიმურგის" მთავარმა მწვრთნელმა, **რომან პოკორამ** სანაკრებო პაუზით ისარგებლა და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ესტუმრა. გამომგზავრებამდე პაკორა „სიმურგის" ოფიციალური გვერდის ჟურნალისტს ელაპარაკა.

*„მართალია, შეკრებები ოფიციალურ შეხვედრებს ვერ შეგვიცვლის, მაგრამ იმედია, საქართველოში დროს ნაყოფიერად გავატარებთ. ქართულ კლუბებთან ორ საკონტროლო შეხვედრას ვგეგმავთ. მათ საკმაოდ კონკურენტუნარიანი გუნდები ჰყავთ და მათთან მატჩები ჩვენს ფეხბურთელებს მხოლოდ წაადგებათ. თბილისზე არჩევანი მრავალი მიზეზის გამო შევაჩერეთ: ზაქათალასთან ახლოსაა, იქ მრავალი ნაცნობი გვყავს, რომელიც მოსამზადებლად ყველა საჭირო პირობას გვიქმნის. თანაც, მატჩები სასელექციოდაც საინტერესოა - საქართველოში ბევრი კარგი ფეხბურთელია, რომელსაც აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაში სურს. ამჟამად „სიმურგის" 7 ფეხბურთელი ლატვიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრების წევრი ან კანდიდატია. ჩვენ ამ ფაქტით უნდა ვიამაყოთ",* - განაცხადა პაკორამ.

გუშინ „სიმურგი" ბოლნისში რუსთავის „ოლიმპს" შეხვდა. მატჩი ძალიან საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში გოლების წვიმა „წამოვიდა". ანგარიში რუსთაველთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა **აკინომ** გახსნა - 1:0. მართალია, „სიმურგი" საკმაოდ ორგანიზებულად თამაშობდა და ბევრსაც უტევდა, მაგრამ მალე თავი ისევ **აკინომ** გამოიჩინა და ქართველები უფრო სოლიდური უპირატესობით დააწინაურა - 2:0.

სტუმრები უფრო მობილიზებულად ათამაშდნენ, „ოლიმპის" ფეხბურთელებმა კი საქმე მოთავებულად ჩათვალეს და დაისაჯნენ: ანგარიში „სიმურგის" ქართველმა ნახევარმცველმა **დათო ბოლქვაძემ** შეამცირა - 2:1.

ზაქათალელებმა შეტევები გააძლიერეს და სტუმართა თავდამსხმელმა **ნიკოლაი პეტროვ-ვალევმა** ანგარიში გაათანაბრა - 2:2.

ბოლო წუთები დაძაბულად მიმდინარეობდა, ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ საბოლოოდ „ოლიმპმა" გაიმარჯვა. თავი კვლავ რუსთაველთა ლეგიონერმა გამოიჩინა. ბოლო წუთზე ცენტრალური მცველი **ალექს ფრაგა** შეტევაში ჩაერთო და ზუსტად დაარტყა - 3:2.

რუსთავის „ოლიმპი": **ალავიძე - ს. თოდუა, ფრაგა, რეხვიაშვილი, იმედაშვილი - ფოფხაძე, ბაბუნაშვილი, ზ. ქელიძე, დობროვოლსკი, ჯერონიმო - აკინო.**

სამწუხაროდ, **გიორგი რეხვიაშვილი** დაშავდა და მის ნაცვლად მოედანზე **ოლეგ გველესიანი** შევიდა. ამას გარდა, მეორე ტაიმში „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა, **ოთარ კორღალიძემ** საკმაოდ ბევრ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება - **გია თოდუას** გარდა, ყველა ახალგაზრდა გახლავთ. ალბათ, რუსთაველთა გამარჯვება სწორედ ამიტომ ფასობს. სხვათა შორის, ზაფხულის მოსამზადებელ ეტაპზეც ამ გუნდების მატჩი ასეთივე შედეგებით დასრულდა - სამი მატჩიდან ორი „ოლიმპმა" მოიგო, ერთიც ფრედ დაასრულა.

„სიმურგის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს **კახა ჩხეტიანმა და თემურ ლონლაძემ, დათო ბოლქვაძე** მეოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა, რომელმან ახალკაცს კი არ უთამაშია - მას ტრავმა აქვს და მკურნალობს.

## იური მაქსიმოვი

# იქნებ, ჩვენთვის საინტერესო მოთამაშეებიც აღმოვაჩინოთ...



იური მაქსიმოვი

**გუშინ** თბილისს კიევის „ობოლონი" ესტუმრა. „ჯორჯიან ალიანსის" (საქართველოში ლუდი „ობოლონის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი) ინიციატივით, უკრაინული კლუბი 10 ოქტომბერს სამტრედიაში ადგილობრივ კლუბს შეხვდება და ამავდროულად, სოციალურად დაუცველ ბავშვებსა და მოხუცებს დაეხმარება. კიეველებმა 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანეს. მათ შორის არ არის თბილისის „ამერის" ყოფილი მეკარე ვლადისლავ ჩანგელია, რომელიც დუბლებში დატოვეს.

გუშინ ინტერვიუ ვთხოვეთ „ობოლონის" მთავარ მწვრთნელ იური მაქსიმოვს. თავის დროზე, ცენტრალური ნახევარმცველი მაქსიმოვი დამოუკიდებელი უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა გახლდათ. 1997 წელს ის ვალერი ლობანოვსკის გერმანიაში გაექცა. თამაშობდა „ტავრიაში", „დნიპროში", კიევის „დინამოში", „ვერდერში", „ვალდჰოფში", „როსტოვში", „ბორისფენში", ზაპოროჟიეს „მეტალურგსა" და უკრაინის ნაკრებში. „ვერდერმა" კიეველებისგან მისი ტრანსფერი 3,5 მილიონ მარკად გამოისყიდა, რაც იმ დროისთვის პატარა თანხა არ იყო. მაქსიმოვმა კარიერა 2005 წელს დაასრულა.

**- ბატონო მაქსიმოვ, უკრაინული გუნდის სტუმრობა ჩვენთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. როგორ გადაწყდა მატჩის ორგანიზება?**

- ჩვენი კლუბის მეპატრონეებს საქართველოში პარტნიორები ჰყავთ და გვითხრეს, უმაღლესი ლიგის გუნდთან, სარეკლამო და საქველმოქმედო მიზნით, შეხვედრა უნდა გავმართოთ. თბილისში რამდენჯერმე ვივარჯიშებთ, „სამტრედიას" კი 10 ოქტომბერს შევხვდებით.

**- ამ გუნდზე რაიმე ინფორმაციას თუ ფლობთ?**

- როგორც გვითხრეს, ახლახან თბილისის „დინამო" დაუმარცხებია. ვიცით, რომ კალაძემ კარიერა ამ კლუბში დაიწყო.

**- არა, მას იქ არ უთამაშია, უბრალოდ, სამტრედია კახას მშობლიური ქალაქია.**

- ეს არ ვიცოდი...

**- საქართველოში ბოლოს როდის იყავით?**

- თუ არ მეშლება, 1989 წელს ჩამოვედი და მას შემდეგ არ ვყოფილვარ. იმ დროს სიმფეროპოლის „ტავრიაში" ვთამაშობდი.

**- „ობოლონი" უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდა?**

- თითქმის, თუ არ ჩავთვლით უკრაინისა და ბელარუსის ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულ ოთხ ფეხბურთელს. ძირითადის კიდევ ერთი წევრი კი დაგვიშავდა და საოპერაციო გახდა. დანარჩენი ყველა თბილისშია. ვფიქრობ, მაყურებელი საკმაოდ კარგ ფეხბურთს იხილავს. მაინტერესებს, რა დონეზეა ქართული ფეხბურთი. იქნებ, ჩვენთვის საინტერესო მოთამაშეებიც აღმოვაჩინოთ...

**- როგორც გავიგეთ, „ობოლონი" უკრაინული კლუბებისგან აბსოლუტურად განსხვავებულ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს...**

- ევროპაში ვთამაშობდი და სხვა სტილი შემიყვარდა. ჩემს გუნდში უკრაინული არაფერია. ვცდილობ, ფეხბურთელები ისე ვავარჯიშო და ვათამაშო, მოედანზე გასვლა სიამოვნებდეთ.

**- ლობანოვსკის ქვეყანაში ამგვარი სტილით თამაში დისიდენტობის ტოლფასია...**

- ასეც არის. უკრაინაში ლამის ყველა დაცვით ფეხბურთს თამაშობს, მე კი შემტევი ფეხბურთი მიყვარს, ისეთი, რაც მას მთელ მსოფლიოში პოპულარულს ხდის. ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც გერმანიაში მასწავლეს.

კიევის „ობოლონი" დღეს 10 საათზე „მერანის" სტადიონზე (ბოგდან ხმელნიცკის 48) ივარჯიშებს, კლუბის ხელმძღვანელობა კი ვარჯიშის დასრულებისთანავე, 11:30 საათზე პრესკონფერენციას გამართავს. მატჩი კი სამტრედიაში 10 ოქტომბერს, 16 საათზე დაიწყება. როგორც გავიგეთ, თამაშზე დასწრებას აპირებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობაც.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბურდული ზარიადან ჩერნომორეცში?

საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის, ლადო ბურდულის კარიერა ვერ აეწყო. მას მრავალი საინტერესო წინადადება ჰქონდა, თამაში შეეძლო, მაგრამ შესაძლებლობა ვერა და ვერ გამოამჟღავნა. ის ბოლოს სიმფეროპოლის „ტავრიაში" თამაშობდა. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, სიმფეროპოლიდანაც წავიდა, თბილისში იმყოფებოდა და გუშინ ოდესაში გაემგზავრა. ბურდულს „ჩერნომორეცში" ჩარიცხვით აიმედებენ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი გადაწყვეტილების გამო...

# ფეხბურთის კეთილდღეობისთვის?

## ანუ რა განსხვავებაა პლატინისა და ბლატერს შორის



მიშელ პლატინი და ზეპ ბლატერი

29 სექტემბერს ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა რიო-დე-ჟანეიროში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო - აღმასკომმა დაადგინა 19 ოქტომბერს ციურიხში ევროპის ზონის საკვალიფიკაციო პლეი ოფების კენჭისყრის გამართვის დეტალები. და ჰოი, საოცრებავ, ერთი ვითომ უმნიშვნელო პუნქტიც ჩაამატა, რომელმაც უკვე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია კონტინენტზე - *„გუნდები განითესებიან ფიფა-კოკა-კოლას მორიგი რეიტინგის მიხედვით, რომელიც 16 ოქტომბერს გამოქვეყნდება“*. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის დასრულებამდე მხოლოდ ორი ტურით ადრე გადაწყვიტეს, რომ პლეი ოფებში გუნდები განითესებიან! ამის გამო ირლანდიის ნაკრების იტალიელმა თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ ზეპ ბლატერს** და კომპანიას ფეხბურთის მკვლელები უწოდა.

სავსებით ცხადია, რომ ფიფას გადაწყვეტილება კომერციული მიზნებითაა განპირობებული, ორგანიზაცია ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ნაკრები დაკარგოს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელთა მონაწილეობაც ტურნირს კარგ შემოსავალს უქადის. ისეთი გუნდები, როგორებიც საფრანგეთი, რუსეთი და პორტუგალია არიან თავიანთ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში პლეი ოფში ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან. მოგეხსენებათ, ევროპის ზონიდან 9 ჯგუფის ამდენივე გამარჯვებული ინალდებს სამხრეთ აფრიკის საგზურს, 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი (ერთი უარესი ეთიშება რბოლას) კი პლეი ოფში გაარკვევს 4 საგზურის მფლობელს. ფიფამ ყოველმხრივ გაუკაფა გზა „დიდ გუნდებს“, რაც შეიძლება იოლი გზით მოიპოვონ ჩემპიონატის საგზური.

საფეხბურთო სამყაროში ყველას გაუჩნდა ეჭვი, რომ საკმაოდ კონსერვატიულმა ორგანიზაციამ, მოულოდნელი ნოვაცია იმის გამო განახორციელა, რომ საკვალიფიკაციო ჯგუფებში ძალზე გაუჭირდათ ისეთ ნაკრებებს, როგორიც პორტუგალია და საფრანგეთია. ყოფილიყვნენ მათ ადგილას ალბანეთი, ლიტვა და ფინეთი, როგორ ფიქრობთ, შეიწუხებდა ფიფა თავს **ალტინ ლალას, მარიუს სტანკევიჩიუსის ან რომან ერიომენკოსთვის?**

გულშემატკივრებისთვის ძნელი წარმოსადგენია მსოფლიოს ჩემპიონატი **ლეო მესის** და **კრიშტიანო რონალდოს** გარეშე. ეს მართლაც ცუდია, მაგრამ მხოლოდ გულშემატკივრებს არ შესტკივათ გული ამის გამო. მესის და რონალდოს ხილვა მსოფლიოს ჩემპიონატზე ისეთ ფირმებსაც სურთ, როგორიც „ნაიკი“ და „ადიდასია“. სურთ კი არა, მათ ვერც კი წარმოუდგენიათ თავიანთი ფირმების „პოსტერის ბიჭების“ გარეშე ჩატარებული პირველობა - ეს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია, უდიდესი ტურნირი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და მსოფლიოს მოწინავე ფირმებსაც თავიანთი პროდუქციის სარეკლამოდ უკეთესი სპორტული ტურნირი ვერც კი წარმოუდგენიათ. ფიფა ამ არცთუ სამართლიან გადაწყვეტილებას „ფანების“ არგუმენტით იშველიებს, არგუმენტი, რომელიც „რეიტინგში“, შემდეგ კი „შემოსავალში“ „ითარგმნება“. და ვის აინტერესებს ირლანდიელების, ბოსნიელების და ლატვიელების აზრი. იყვიროს ტრაპატონიმ რამდენიც უნდა, თუ „ზღვარს გადავა“ რაიმე სასჯელსაც გამოუწერენ.

ხომ არ მოიწვიონ პირდაპირ „დიდი გუნდები“ მსოფლიოს ჩემპიონატზე? რომ თავიდანვე გამოირიცხოს პორტუგალიის, საფრანგეთის ან რუსეთის გარეშე ჩემპიონატის ჩატარება?

ფიფას ეს გადაწყვეტილება უეფას ახალ პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში მოდის, **მიშელ პლატინის** ახალი ინიციატივებით ჩემპიონთა ლიგა კიდევ უფრო დემოკრატიული ტურნირი გახდა. წარმოჩინდა შედარებით დაბალრეიტინგიანი ჩემპიონატების მომგები გუნდები. შედეგად, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ისეთი კალიბრის გუნდები მოხვდნენ, როგორიც, მაგალითისთვის, რუმინული „უნირეა ურჯიჩენია“. სამწუხაროდ, პლატინის იდეებთან შორს დგას ფიფას ბოსების ინტერესები, რომელთაც ერთი მხრივ სლოგანშიც კი უწერიათ „ფეხბურთის კეთილდღეობისთვის“ (for the good of the game) და იმაზე მეტი წევრი ჰყავთ, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მაგრამ მეორე მხრივ ფიფას დემოკრატია იქ მთავრდება, სადაც „ჯუჯას“ ინტერესი რომელიმე „დიდი გუნდისას“ დაუპირისპირდება.

ზეპ ბლატერის მარჯვენა ხელ **ჯეკ უორნერს**, ალბათ, კვლავ (როგორც 2006 წელს) სურს თავისი კუთვნილი ბილეთების ხარჯზე „გადაყიდვით“ მორიგი მილიონები მიიღოს - წარმოიდგინეთ, რომელი მატჩი უფრო გაყიდის ბილეთებს პორტუგალია-საფრანგეთი თუ ლატვია-ირლანდია?

ეს სტატიაც ფეხბურთის კეთილდღეობისთვის დაიწერა, ოლონდ მართლა!

შესარჩევი მატჩების წინ

# სერბებს ქულებს დააკლებენ



სერბ ფანებს შეუძლიათ, გუნდი დაღუპონ

შაბათს სერბეთისა და რუმინეთის ნაკრებთა მატჩი მე-7 შესარჩევ ჯგუფში შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს, გამარჯვების შემთხვევაში სერბები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს ინაღდებენ, მაგრამ... ფიფა მზადაა სერბეთის ნაკრებს ქულები ჩამოაკლოს, თუკი ტრიბუნებზე რაიმე ინციდენტს ექნება ადგილი. საქმე იმაშია, რომ ევროპის ზონაში სერბებზე უდისციპლინო გულშემატკივრები არც ერთი ქვეყნის ნაკრებს არ ჰყავს. ამ ჯგუფის მატჩებში სერბმა ვაიგულშემატკივრებმა თავი უკვე „გამოიჩინეს“ ავსტრიის, რუმინეთის და საფრანგეთის ნაკრებებთან მატჩებში. ფიფამ სერბეთის ფეხბურთის ფედერაცია უკვე დასაჯა 43 ათასი დოლარით. მაგრამ, ამიერიდან, ფიფა მხოლოდ სანქციებით არ შემოიფარგლება. სერბებმა უკვე მიიღეს უკანასკნელი გაფრთხილება, კიდევ ერთი უწესრიგობა მათ გუნდს შეიძლება ქულების ჩამოკლებად დაუჯდეს. ეს პირდაპირ მითითებულია ფიფას გაფრთხილებაში.

სერბეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა საჯარო გაეხადა ეს დოკუმენტი, ფიფას გაფრთხილება მათს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა, მას თან ერთვის სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, **ზორან ლაკოვიჩის** თხოვნა ფანებისადმი, არ დაუშვან მორიგი ინციდენტი სტადიონზე.

თამაშს ოპტიმიზმით ელის სერბთა ფორვარდი **მილან იოვანოვიჩი**: *„რუმინეთის ნაკრებში დიდი ცვლილებებია, მათ შეუძლიათ მშვიდად ითამაშონ ჩვენ წინააღმდეგ, მაშინ, როცა ჩვენ მიზანს უნდა მივაღწიოთ. დარწმუნებული ვარ, რომ მეტოქეზე უკეთესი გუნდი გვყავს, მაგრამ ეს შაბათს მინდორზე უნდა დავამტკიცოთ. ყველამ კარგად ვიცით, რომ გამარჯვება ჯგუფში ჩვენს ბოლო შეხვედრას ფორმალობად გადააქცევს“*, - განაცხადა ლიეჟის „სტანდარდის“ ფორვარდმა.

# ერთი მატჩი ევროპის რეკორდამდე



ასტაფიევსი ჩვეული მაისურით

ლატვიის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი **ვიტალი ასტაფიევსი** შესაძლოა ევროპის რეკორდსმენი გახდეს ეროვნულ ნაკრებში გამართული მატჩების მიხედვით. ლატვიის ნაკრები მე-2 შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე იმყოფება საბერძნეთის ნაკრებთან ერთად და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის იბრძვის. ლატვიელები 10 ოქტომბერს საბერძნეთის ნაკრებს ეწვევიან, ოთხ დღეში კი მოლდოვას ეთამაშებიან. 9 სექტემბერს შვეიცარიასთან მატჩში 38 წლის ასტაფიევსმა 156-ედ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისური. სხვათა შორის, ამ თამაშში ლატვიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ გოლიც გაიტანა. ახლა ევროპაში ასტაფიევსი მხოლოდ **მარტინ რეიმს** ჩამორჩება, რომელმაც 157 მატჩში მიიღო მონაწილეობა. რეიმიც 38 წლისაა, ესტონელმა ნახევარმცველმა კარიერა 2008 წელს დაასრულა, თუმცა ბოლო მატჩი ნაკრებში ახლახან, ივნისში ითამაშა - მას ესტონური ფეხბურთის ასი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ამხანაგურ მატჩში დაუძახეს ეკვატორული გვინეის წინააღმდეგ. თუკი ასტაფიევსი საბერძნეთშიც ითამაშებს და მოლდვაშიც, ის ევროპის რეკორდსმენი გახდება: *„ჩემი მიზანია, დავრჩე რეკორდსმენად, ჯერჯერობით ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებ“*, - განაცხადა ასტაფიევსმა, რომელიც უკვე მე-18 სეზონია პროფესიონალია. მსოფლიოს რეკორდსმენი საუდის არაბეთის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი **მოჰამედ ალ დეაიაა** - 181 მატჩი ეროვნულ ნაკრებში.

# ბენზემა ისევ თამაშგარეში

მოგეხსენებათ, **ქარიმ ბენზემა** უკმაყოფილოა „რეალის“ მწვრთნელის, **მანუელ პელეგრინის** საქციელით, რომელიც ხშირად ცვლის ხოლმე ფრანგს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში. ბენზემას უარესად აქვს საქმეები საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში, სადაც სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს. საფრანგეთის ნაკრები გენგამში ფარერის კუნძულელებთან მატჩისთვის ემზადება, მეტოქის სისუსტის მიუხედავად, ეს თამაში ძალზე მნიშვნელოვანია ფრანგებისთვის. „ფრანს ფუტბოლის“ რეპორტიორები დაესწრნენ **რაიმონ დომენეკის** გუნდის ვარჯიშს და დაასკვნეს, რომ ბენზემა ვერც ამ თამაშში მოხვდება სასტარტო 11-ეულში. „ფრანს ფუტბოლის“ მიხედვით დომენეკი 4-4-2 სისტემით ეთამაშება კუნძულელებს, წინ **ნიკლას ანელკას** პარტნიორობას „ტულუზის“ ფორვარდი **პიერ-ანდრე ჟინიაკი** გაუწევს. სასტარტოში ითამაშებს **ტიერი ანრი**, თუმცა ის ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლებს, სადაც **ფლორენ მალუდას** დომენეკი ისევ ანრის არჩევს. შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო საფრანგეთის ნაკრებს სამი ვარსკვლავი დააკლდება: **ფრანკ რიბერი, იოან გურკუფი** და **სამირ ნასრი**. ფრანგთა სავარაუდო შემადგენლობა „ფრანს ფუტბოლის“ მიხედვით ასეთია: **მანდანდა - სანია, გალასი, აბიდალი, ევრა - გოვუ, ლ. დიარა, ტულალანი, ანრი - ანელკა, ჟინიაკი.**

# ცდომილი ნერვი და გომისი

„ლიონის“ და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის **ბაფეტიმბი გომისის** ჯანმრთელობა საფრთხეშია, ოთხშაბათის ვარჯიშზე გომისს ვაგუსის ნერვის (ცდომილი ნერვი) პრობლემის გამო შეტევა მოუვიდა. გომისს ზაფხულიდან მოყოლებული ეს უკვე მესამედ შეემთხვა, მკვეთრად შემცირდა გულისცემის სიხშირე და არტერიული წნევა. ფეხბურთელი ერთ-ორ წუთს უგონოდ იყო, შემდეგ გასახდელში 15 წუთით დაასვენეს. საბოლოოდ გომისი უპრობლემოდ შეუერთდა ნაკრების ვარჯიშს, მაგრამ მისი ჯანმრთელობა, რომ საფრთხეშია, ცხადია.

გომისის მდგომარეობით შეშფოთებულია „ლიონის“ პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ულა**: *„ეს შეტევა მას უკვე მესამედ მოუვიდა. ძალიან შეშფოთებული ვარ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“*.

# ვერმალენი ახალი კაპიტანია

ბელგიის ნაკრების ახალმა თავკაცმა ჰოლანდიელმა **დიკ ადვოკაატმა** ნაკრების ახალ კაპიტნად ლონდონის „არსენალის“ მცველი **თომას ვერმალენი** აირჩია. ვერმალენი სამკლავურს პირველად თურქეთის ნაკრებთან მატჩში მოირგებს. ბელგიელთა წინა კაპიტანი **ტიმი სიმონსი** ადვოკაატმა საერთოდ გააძევა ნაკრებიდან. სიმონსმა ადგილი დაკარგა „ეინდჰოვენის“ ძირითად შემადგენლობაში, ხოლო ადვოკაატმა განაცხადა, რომ ბელგიის ნაკრებში სიმონსის ადგილს ვერ ხედავს. კაპიტნობის სხვა კანდიდატი **დანიელ ვან ბუიტენი** იყო, მაგრამ ადვოკაატმა ბაიერნელს უფრო ახალგაზრდა ვერმალენი არჩია, რომელსაც მთელი კარიერა წინ აქვს. სხვათა შორის, ვერმალენი „აიაქსში“ ყოფნისას ამ გუნდის კაპიტანი იყო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფსბურგი




# ჩაო, ბარძალი?

## იმისათვის, რომ ჰეიტინგას ტრანსფერი შედგეს...

„ვოლფსბურგმა" ზაფხულში იტალიელი **კრისტიან ძაკარდო** გაყიდა. ახლა იგი „პარმაში" თამაშობს და სხვათა შორის, ძალიან კარგადაც. „ვოლფსბურგის" ახალი მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** კი მეორე იტალიელის, **ანდრეა ბარძალის** გაყიდვაზეც სერიოზულად ფიქრობს. ბარძალიში „ვოლფებმა" ორი წლის წინ 14 მილიონი ევრო გადაიხადეს. ფაქტი ის არის, რომ ფეეს ზამთარში ახალი ცენტრალური მცველის შეძენა უნდა. დღესდღეობით გუნდში ოთხი ცენტრალური მცველია და ფაქტია, რომ ახლის მოსვლის შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი გუნდიდან უნდა წავიდეს და ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ის ერთი ბარძალი იქნება.

ერთი რამ ცხადია: ამ სეზონში „ვოლფსბურგის" დაცვის ხაზი ძალიან ცუდად გამოიყურება. „მგლებს" უკვე 15 გოლი აქვთ გაშვებული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ვოლფსბურგი" სწორედ ამ მცველებით გახდა გერმანიის ჩემპიონი. გამოდის, რომ ბარძალი ფეეს ხელში გახდა ცუდი მცველი? ბოლო ორ თამაშში ფეემ დაცვის ცენტრში **ალექსანდერ მადლუნგი** და **რიკარდო კოშტა** ათამაშა. ფაქტია, რომ „მგლების" თავკაცი მომავალ შეხვედრებშიც ამ დუეტს ენდობა. მაგრამ „კიკერი" ირწმუნება, რომ ფეე ზამთარში აუცილებლად იყიდის ერთ ახალ მცველს.

ფეეს ახალი უკანახაზელის შეძენა ზაფხულშიც სურდა და ყველა პოზიციაზე მოასპარეზე **ჯონი ჰეიტინგას** უმიზნებდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა, რადგან „ვოლფსბურგს" საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდა. მადლუნგისა და კოშტას გარდა, „მგლებს" ბარძალი და **იან შიმუნეკი** ჰყავთ. ეს უკანასკნელი თანახმაა, სათადარიგოთა სკამზე იჯდეს, რასაც ვერ ვიტყვით ბარძალის შესახებ. თანაც, ფეეს ისევ ძალიან უნდა ჰეიტინგას შეძენა და სწორედ ამიტომ თანხმაა, ბარძალის შეელიოს, რადგან იტალიელი ძვირადაც გაიყიდება და თანაც, მას „ვოლფსბურგში" ძალიან მაღალი ხელფასი აქვს (კონტრაქტი 2011 წლამდე).

ამასობაში, თავდამსხმელმა **გრაფიტემ** ფეეს საქვეყნოდ მოუბოდიშა. ბუნდესლიგის გასულ ტურში მწვრთნელმა ბრაზილიელი ნაადრევად შეცვალა, რის შემდეგაც გრაფიტე განრისხებული იყო და ფეესთვის ხელი არ ჩამოურთმევია, მოგვიანებით კი თქვა, მიმაჩნია, რომ მეტ პატივისცემას ვიმსახურებო. „ვოლფსბურგმა" გრაფიტეს ამისათვის 10 000 ევროს გადახდა დააკისრა და ფეხბურთელისთვის საჯაროდ ბოდიში მოახდევინეს.

გოტფრიდ ლენცი

ჰამბურგი

# ლაბადიას მეგოლე აღარ აბადია!



ბრუნო ლაბადიას ტაქტიკურ სქემებზე ტვინის ჭყლეტა მოუწევს, რადგან მლადენ პეტრიჩიც დაშავდა

„ჰამბურგმა" ბუნდესლიგაში მოწინავე პოზიცია შეინარჩუნა, მაგრამ მეორე წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა. თავდამსხმელმა **მლადენ პეტრიჩმა** უმძიმესი ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. 28 წლის ხორვატ ფორვარდს ოპერაცია უკვე გაუკეთეს და ცნობილია, რომ ის ჩრდილოგერმანულ კლუბს 5 თვის განმავლობაში ვეღარ დაეხმარება. „ჰამბურგს" მეორე წამყვანი ცენტრფორვარდი **პაულო გერერო** სექტემბერში დაუშავდა და ამ უკანასკნელსაც დიდხანს მოუწევს დასვენება. მოკლედ, „ჰამბურგი" ძირითადი თავდამსხმელების გარეშე დარჩა. მთავარი მწვრთნელის, **ბრუნო ლაბადიას** განკარგულებაში ახლა მხოლოდ ერთი ნომინალური და მეტ-ნაკლებად მაღალი კლასის გოლეადორია: **მარკუს ბერგი**, რომელმაც იმედები ჯერ ვერ გაამართლა. 23 წლის შვედს ყველა მატჩში თავდაჯერება აკლია და ძალიან დაბალ შეფასებებს იღებს.

„ტრაგიკული მდგომარეობაა, მაგრამ ამ კრიზისსაც უნდა გავუძლოთ," - აცხადებს ლაბადია. ფაქტი ის არის, რომ „ჰამბურგი" ახალი თავდამსხმელის აყვანას არ აპირებს. სატრანსფერო ფანჯარა ზამთრამდე არ გაიხსნება, მანამდე კი მხოლოდ უკლუბო ფეხბურთელების აყვანაა შესაძლებელი. ასეთები კი ლაბადიას არ სურს. ერთი კვირის წინ „ჰამბურგში" სინჯებზე დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილი ფორვარდი, ამჟამად უკლუბო პოლონელი **ები სმოლიარეკი** იმყოფებოდა, მაგრამ ბრუნოს თავი ვერაფრით მოაწონა და სმოლიარეკიც ისევ პოლონეთში გაუშვეს.

„ჰამბურგს" კიდევ რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა. მაგალითად, დღეს კონტრაქტები არ აქვთ ისეთ თავდამსხმელებს, როგორებიც არიან **მარკ ვიდუკა** (33 წლის), **სილვაინ ვილტორი** (35), **კრისტიან ვიერი** (36) ან **ანრი კამარა** (32), მაგრამ ლაბადიას არ სურს ისეთი ფეხბურთელის აყვანა, რომელსაც დიდი ხანია, მაღალ დონეზე არ უთამაშია.

ამრიგად, ჩრდილოგერმანელთა მწვრთნელი იმის მომხრეა, რომ არსებული კადრებით გავიდეს ფონს. არადა, „ჰამბურგს" არ ჰყავს ისეთი ნახევარმცველები, რომლებსაც გოლების გატანა ეხერხებათ: არც **პიოტრ ტროხოვსკის**, არც **დავიდ იაროლიმს**, არც **ჯონათან პიტროიპას** და სხვებს არ აქვთ კარგი საგოლე ალღო. მხოლოდ **ზე რობერტოა** ისეთი შუამარბი, რომელსაც გოლების გატანა ეხერხება. არც **ელჯერო ელია** უნდა დაგვავიწყდეს, რომელმაც ამ სეზონში უკვე ორჯერ იხეირა, მაგრამ ეს უკანასკნელი ნახევარდაცვაში უფრო შედეგიანია, ვიდრე თავდასხმაში იქნება. მიუხედავად ამისა, ლაბადია ბერგს ალბათ მაინც ელიას შეუწყვილებს, ანაც მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდით ითამაშებს. ერთი თავდამსხმელით თამაში პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ბერგიც ვერ ახერხებს გოლების გატანას.

ზაფხულში „ჰამბურგმა" ნიჭიერი თავდამსხმელი **მაქსიმ ჩუპო-მოტინგი** ზაფხულში „ნიურნბერგში" გაანათხოვრა. დღეს ლაბადიას განაცხადში ორი 19 წლის ფორვარდის შეყვანა შეუძლია. ესენია: **თოლგაი არსლანი** და **თუნაი თორუნი**, მაგრამ მათ უმაღლეს დონეზე თამაშის არანაირი გამოცდილება არ აქვთ...

გოტფრიდ ლენცი

ამბები

## კრესპო გოლის აღნიშვნას აპირებს

იტალიის სერია A-ს მომდევნო ტურში გენუაში ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება, ერთმანეთის პირისპირ „ჯენოა" და „ინტერი" წარდგებიან. საერთოდ, მერვე ტური მართლაც გამორჩეული იქნება, გარდა ამ პაექრობისა, კიდევ რამდენი ძალიან საინტერესო ჯახი შედგება. „იუვენტუსი" „ფიორენტინას" უმასპინძლებს, „მილანი" - „რომას", ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „სამპდორია" კი „ლაციოს" ესტუმრება. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ტურამდე საკმაო დროა დარჩენილი, პრესაში აქედანვე ბევრს ლაპარაკობენ აღნიშნულ თამაშებზე და პროგნოზებსაც აკეთებენ. პროგნოზი იქით იყოს და, თქვენს ყურადღებას **ერნან კრესპოზე** შევაჩერებთ, ვინაც 17 ოქტომბერს, მის ყოფილ გუნდს, „ინტერს" დაუპირისპირდება. აი, რას ამბობს ჟურნალისტთან საუბარში „ჯენოას" ფორვარდი:

*„მილანურ გრანდში ოთხი ძალიან სასიამოვნო წელი გავატარე და ეს დრო ყოველთვის კარგად მომაგონდება. თუმცა, დასამალი არაფერი მაქვს, პრობლემებიც უხვად მქონდა. განსაკუთრებით ბოლო სეზონში გამიჭირდა, როდესაც მწვრთნელისგან მინიმალურ ნდობასაც ვერ ვგრძნობდი. ჟოზე მოურინიოს არ ვამტყუნებ, ის მწვრთნელია და თავისი არჩევანი გააკეთა, თუმცა ეს ჩემთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო, რადგან მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა საშინელი შეგრძნებაა. რაც იყო იყო, ახლა „ჯენოას" ფეხბურთელი ვარ და ახალ გუნდში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მომდევნო ტურში მართლაც დიდი მატჩი გაიმართება ორი შესანიშნავი გუნდის შესრულებით, რაც მთავარია, ბრწყინვალე გულშემატკივრის წინაშე. ბევრი მეკითხება, აღვნიშნავ თუ არა „ინტერის" კარში გატანილ გოლს, თუ, რა თქმა უნდა, გავიტანე. „ინტერი" დღემდე ჩემს გულშია, მაგრამ ვერ ვხედავ საბაბს, თუ რატომ არ უნდა აღვნიშნო გოლი. ვენდეტა არაფერ შუაშია, მე „ჯენოას" წარმატება გამახარებს და არა „ნერაძურის" მარცხი. „ინტერისთვის" იმხელა ფიგურა არასდროს ვყოფილვარ, რომ იქ სიმბოლოდ მთვლიდნენ - ასე რომ, გოლს ისევე აღვნიშნავ, როგორც სხვა შემთხვევებში".*

ლაშა ნიკლაური

## დროგბა: ჟოზესთვის ფეხსაც მოვიტეხავ

**ჟოზე მოურინიოს** ხშირად აკრიტიკებენ კოლეგები თუ ფეხბურთელები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც პორტუგალიელის მიმართ პატივისცემით არიან განმსჭვალულნი. ერთ-ერთი ასეთი **დიდიე დროგბა** გახლავთ, ვინც გუშინ ჟურნალისტებს შეხვდა და ყოფილ დამრიგებელზე ძალიან თბილად ისაუბრა:

*„ჟოზე უბადლო ტაქტიკოსია, ძალიან კარგად ერკვევა საფეხბურთო ნიუანსებში, მაგრამ პირველ რიგში ის მაინც ფსიქოლოგია. უნიკალური უნარი აქვს, თითოეულ ფეხბურთელს ინდივიდუალურად მიუდგეს და განვითარებაში დაეხმაროს. ის, რომ დღეს ასეთ დონეზე ვთამაშობ, დიდწილად სწორედ მოურინიოს დამსახურებაა. პორტუგალიელს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მისთვის ფეხსაც კი მოვიტეხ თუ საქმეს დასჭირდა".*

ძნელად წარმოსადგენია, რატომ უნდა დასჭირდეს დროგბას მოურინიოს გამო ფეხის მოტეხვა, მაგრამ ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჟოზესთან მუშაობაზე არც სამომავლოდ იტყვის უარს. სეზონის წინ, ჟურნალისტები ინტენსიურად წერდნენ იმის შესახებ, რომ დიდიე „ინტერში" აპირებდა გადასვლას, თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ვნახოთ, იქნებ აღნიშნული ტრანსფერი მომავალ ზაფხულს შედგეს.

ლაშა ნიკლაური

## რანიერის პოულსენი მოუნდა

ძნელი სათქმელია, რამ შეაყვარა ასე ძალიან **კრისტიან პოულსენი კლაუდიო რანიერის**, მაგრამ ფაქტია, რომ სადაც მიდის, დანიელსაც იქით ექაჩება. თავის დროზე, სწორედ რანიერიმ გადაიყვანა პოულსენი „იუვენტუსში", ახლა კი სურს „რომაში" გადაიბიროს. ეს ინფორმაცია გუშინ იტალიურმა სპორტულმა გამოცემებმა გაავრცელეს და დასძინეს, - მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია გადასულიო. ანუ, რომაელებს სკანდინაველის გაფორმება უკვე ამ ზამთარს სურთ და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. თუმცა, ერთია სურვილი და მეორე რეალობა - ტრანსფერს საკმაოდ ბევრი ფაქტორი აფერხებს და დიდია შანსი, გარიგება ჩაიშალოს.

პირველი მიზეზი „იუვენტუსის" სავსე ლაზარეთია. „ვეკია სენიორას" არაერთი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს, ეს უკვე ტენდენციად იქცა და არ არის გამორიცხული, ასე გაგრძელდეს მთელი სეზონი. შესაბამისად, კვალიფიციურ ნახევარმცველთან განშორება „იუვეს" მესვეურთა ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. გარდა ამისა, პრობლემა შეიძლება წარმოიშვას პოულსენის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. დანიელი „ბიანკონერიში" წელიწადში სამ მილიონ ევროს იღებს, „რომას" კი ასეთი თანხის გადახდა არ შეუძლია. დედაქალაქელები კრისტიანს სამწლიან ხელშეკრულებას გაუმზადებენ, ჯამაგირად კი ორ მილიონ ევროს შესთავაზებენ. ასე რომ, „ჯალოროსიში" გადაბარგებისგან შესაძლოა თავად ფეხბურთელმა დაიჭიროს შორს თავი, მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე იუარა „იუვენტუსის" დატოვება. სეზონის დაწყებამდე დანიელს „ფენერბაჩე" ეპატიჟებოდა და ოთხმილიონიან კონტრაქტსაც სთავაზობდა.

ლაშა ნიკლაური

სკანდალი

## სკუადრა აძურას კაპიტანი დოპინგზე ჩავარდა?

### ანუ რა ზიზმა უკბინა კანავაროს საქართველოსთან მატჩის წინ...

დიახ, ფაბიო კანავარო დოპინგზე ჩავარდა! მის შარდში „კორტიზონის" კვალი აღმოაჩინეს. „იუვენტუსში" ამტკიცებენ, რომ ამის მიზეზი ანტიალერგიული პრეპარატია, რომლის მიღებაც „აძურას" კაპიტნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ყოფილა, რათა საქართველოს ნაკრებთან თამაშის წინ მწყობრიდან არ გამოსულიყო. საქმე ისაა, რომ თბილისური მატჩის წინ კანავაროს ზიზმა უკბინა.

„იუვენტუსის" მესვეურებმა პრევენციას მიმართეს და იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური ანტისადოპინგო სამსახური წინასწარ ჩააყენეს საქმის კურსში. მაგრამ აქ მოხდა გაუგებრობა - ტურინელი გრანდის ხელმძღვანელობამ დოკუმენტი დროულად არ შეავსო, რის გამოც დამსახურებულმა ვეტერანმა შეიძლება გვარიანი სასჯელი მიიღოს.

კანავარო დროებით მოხსნეს სანაკრებო განაცხადიდან (ირლანდიასთან მატჩისთვის ისედაც დისკვალიფიცირებულია) და ოლიმპიური კომიტეტის წევრთა კითხვებზე პასუხობს. ის იმედოვნებს, რომ ყველაფერი მალე გაირკვევა და კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. ვნახოთ...

ნიკოლოზ ნიფარიძე

დანიშვნა

# პორტსმუთმა გრანტი მიიღო



„ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი**, რომელმაც დასავლეთლონდონელთა ხელმძღვანელობის ხანმოკლე პერიოდში გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა, „პორტსმუთში“ დაბრუნდა. ამიერიდან იგი „პომპეის“ საფეხბურთო დირექტორის საქმეს შეეჭიდება. გრანტი 2005 წელს უკვე მუშაობდა „პორტსმუთში“, სადაც ტექნიკური დირექტორის ფუნქციას ასრულებდა.

54 წლის ებრაელი სპეციალისტი „ფრეტონ პარკზე“ „პომპეის“ მწვრთნელს, **პოლ ჰარტს** დაეხმარება. კლუბი თავის ოფიციალურ განცხადებაში საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ყოველი კონკრეტული მატჩისთვის შემადგენლობის შერჩევა მხოლოდ და მხოლოდ ჰარტზე იქნება დამოკიდებული ანუ გრანტი პორტსმუთში მწვრთნელის შესავინროებლად და მომავალში მის ჩასანაცვლებლად არ ჩაუყვანიათ. „პომპეის“ აღმასრულებელი შეფი **პიტერ სტორი** ბრძანებს:

*„ჩვენი კლუბის ახალმა მეპატრონეებმა დაუყოვნებლივ მოგვთხოვეს ავრაამ გრანტის საფეხბურთო საქმეთა დირექტორად ჩამოყვანა. მწვრთნელად, რასაკვირველია, პოლ ჰარტი დარჩება, გრანტი კი მას მხარში ამოუდგება და თავის დიდ გამოცდილებას გაუზიარებს. ერთი სიტყვით, ახლა ჩვენს გუნდს ორი მეტისმეტად გამოცდილი და კვალიფიცირებული ადამიანი ხელმძღვანელობს და ამან გამორიცხულია, შედეგი არ მოიტანოს“.*

დაგვეთანხმებით, ძალიან საინტერესო და მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ებრაელი მწვრთნელის მოყვანა „პორტსმუთის“ არაბმა მეპატრონემ, **სულეიმან ალ-ფაჰიმმა** პირადად მოითხოვა. „დეილი მირორისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გრანტმა განაცხადა:

*„ბედნიერი ვარ, ფეხბურთს რომ დავუბრუნდი. მას მერე, რაც „ჩელსიდან“ წავედი, საფეხბურთო გარემო ძალიან მაკლდა. თან, მიხარია, სწორედ იქ რომ დავბრუნდი, სადაც პირველად შევეხე ინგლისურ ფეხბურთს. „პორტსმუთს“ კარგად ვიცნობ და ჩემი პრემიერლიგური თავგადასავალიც სწორედ აქ დაიწყო. „პომპეიში“ გატარებული დრო ძალიან კარგად მახსენდება. იმედი მაქვს, მე და კლუბი ახლაც კარგად შევეწყობით ერთმანეთს. ძალიან კარგად ვიცნობ პოლ ჰარტსაც. მიხარია, კვლავ რომ შევხვდით ერთმანეთს. ადრე ჰარი რედნაპთან ვთანამშრომლობდი. ვფიქრობ, ახლა ჰარტთანაც მოვახერხებ საერთო მიზნისთვის წარმატებით ბრძოლას“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

ინტერვიუ

ლუკა ტონი

# ვან გაალზე ძალიან გაბრაზებული ვარ!

## ლუკასთვის ტრიბუნაზე ჯდომა ჯოჯოხეთია

**სამი კვირაა, რაც ლუკა ტონი გამოჯანმრთელდა და უდიდესი მონდომებით ვარჯიშობს. იტალიელმა თავდამსხმელმა თავისივე ინიციატივით „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდში ორი თამაში ჩაატარა, რათა ერთი მხრივ სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა, მეორე მხრივ კი ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ მესამე ბუნდესლიგაში თამაში არ ეთაკილება, ოღონდ ითამაშოს. მიუხედავად ამისა და კიდევ იმისა, რომ „ბაიერნს“ ბოლო დროს გოლების გატანა ძალიან უჭირს, მიუნხენური გრანდის თავკაცი ლუის ვან გაალი ტონის მაინც არ ათამაშებს. მეტიც: ჰოლანდიელს ლუკა განაცხადშიც კი არ შეჰყავს. იტალიელმა თავისი გასაჭირის შესახებ „ბილდის“ კორესპონდენტებს შესჩივლა...**

**- ლუკა ტონი, მიუხედავად იმისა, რომ მესამე კვირაა, აბსოლუტურად ჯანმრთელი ხართ, ლუის ვან გაალი მაინც არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ პირველი გუნდის განაცხადში შეგიყვანოთ. მისი აზრით, ჯერ არ ხართ საუკეთესო ფორმაში. თქვენ კი საპირისპიროს ამტკიცებთ...**

- დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ. თავს მართლა ძალიან კარგად ვგრძნობ. ზუსტად ისე ვარ, როგორც ორი წლის წინ, როცა „ბაიერნში“ პირველ სეზონს ვატარებდი.

**- იმ სეზონში რეკორდმაისტერის მაისურით ჩატარებულ 46 მატჩში 39 გოლი გაიტანეთ. ახლა კი იძულებული ხართ, „ბაიერნის“ თამაშებს ტრიბუნიდან უყუროთ და ხედავდეთ, როგორ ვერ ახერხებენ თქვენი კოლეგები გოლების გატანას...**

- ტრიბუნაზე ჯდომა ჯოჯოხეთია და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. საშინელებაა, როცა ხედავ, რომ შენს თანაგუნდელს საგოლე მომენტი ექმნება და ვერ იყენებს. პირადად ჩემთვის არ არსებობს უფრო უარესი რამ, ვიდრე ის, რომ სტადიონზე მივდიოდე და არ ვთამაშობდე.

**- რას აკეთებთ იმისათვის, რომ ცუდ ხასიათზე არ იყოთ და ამაზე არ იფიქროთ?**

- ფანი ვხდები. გულშემატკივრებთან ერთად ვმღერი, ვბრაზდები მსაჯზე, როცა ის ჩვენს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს, ვზეიმობ გოლს და ა.შ. მოკლედ, ვიქცევი ისე, როგორც ჩვეულებრივი ქომაგები იქცევიან ხოლმე.

**- მართლა მღერით?**

- (იცინის და გერმანულად მღერის) „გაიტანე გოლი, გაიტანე გოლი, ოჰოოო...“

**- როგორ ახერხებთ ასეთ დროს მოტივირებას?**

- სამი თვეა ფეხბურთი არ მითამაშია. ჩემს კარიერაში აქამდე ასეთი ხანგრძლივი პაუზა მხოლოდ ერთხელ მქონდა – „ბრეშიაში“, ფეხი რომ ვილრძე. ყველა ხვდება, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ. ალბათ ამის თქმა საჭირო არც არის, მაგრამ უნდა ვთქვა: ძალიან ვარ იმედგაცრუებული. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ჩემი შრომით გავხდი და ჩემთვის არასდროს არავის არაფერი უჩუქებია. ახლაც ვშრომობ და ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ. ჩემი მიზანია, დავამტკიცო, რომ ძლიერი ვარ და ყველას შევახსენო, რომ ლუკა ტონი ჯერ კიდევ „ბაიერნის“ თავდამსხმელია. იმედგაცრუებული და გაბრაზებული, მეტიც, განრისხებული ვარ და ვფიქრობ, სწორედ ეს ფაქტორები მეხმარება მოტივირებაში. სხვათა შორის, თანაგუნდელებიც ძალიან მეხმარებიან. სულ მეკითხებიან, როდის დაბრუნდები, ძალიან გვჭირდები, გელოდებითო. როცა თანაგუნდელებისგან ასეთი სიტყვები მესმის, მოტივაცია მიორმაგდება.

**- კონკურენტებიც ამას გეუბნებიან?**

- დიახ, რაც ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა. მარიო გომესთან, ივიცა ოლიჩთან, თომას მიულერთან და მიროსლავ კლოზესთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ჰო, „ბაიერნის“ თავდამსხმელები ბევრნი ვართ, მაგრამ ეს ჩვენი პრობლემა არ არის. ეს გუნდის და მწვრთნელის პრობლემაა.




**- ვან გაალთან თქვენი მდგომარეობის შესახებ არ გისაუბრიათ?**

- ყველა მწვრთნელს თავისი სტილი აქვს. ვან გაალიც ყველასგან განსხვავდება და თავისი წარმოდგენები აქვს. „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა მას ნდობა გამოუცხადეს და გუნდი ჩააბარეს. სწორედ ამიტომ, მხოლოდ ლუისმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ როგორ ავარჯიშოს და ვინ როდის ათამაშოს. მე მასთან არ მისაუბრია, რადგან მიმაჩნია, რომ სათქმელი არაფერია.

**- რამდენად შეურაცხმყოფელი იყო თქვენთვის ის, რომ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა „იუვენტუსთან“ მატჩის განაცხადში არ შეგიყვანათ. ტურინულ კლუბში ხომ თქვენი თანამემამულეები და მეგობრები ასპარეზობენ. ალბათ თითოეული მათგანი ელოდა, რომ ითამაშებდით, თქვენ კი შეგრცხვათ, განაცხადშიც რომ ვერ მოხვდით...**

- მე არაფრის მრცხვენია, რაც თუნდაც იმით დავამტკიცე, რომ მესამე ბუნდესლიგაში ორი მატჩი ჩავატარე. თქვენ მართალი ხართ, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ასპარეზობა ძალიან მინდოდა, რადგან ამ მატჩს მთელმა იტალიამ უყურა და ჩემთვის ძალიან უსიამოვნო ფაქტია, „იუვესთან“ შეხვედრის განაცხადში რომ ვერ მოვხვდი, მაგრამ რას ვიზამ? ვფიქრობ, არც ის უნდა გაუკვირდეს ვინმეს, რომ იმედგაცრუებული და განაწყენებული ვარ. ტრიბუნაზე ჯდომით ბედნიერი რომ ვიყო, ეს არანორმალური იქნებოდა...

**- რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება მას მერე, რაც „ბაიერნს“ ვან გაალი წვრთნის?**

- იცით, მწვრთნელის ძალიან კარგად მესმის. მას გუნდში ხუთი ძალიან კარგი ფორვარდი ჰყავს და ფიქრობს, რომ მათგან მე ყველაზე ცუდ ფორმაში ვარ, რადგან დიდი ხანი არაა, რაც გამოვჯანმრთელდი. მე კი უბრალოდ, განსხვავებული მოსაზრება მაქვს და მიმაჩნია, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ და მოედანზე გასასვლელად ასი პროცენტით მზად ვარ.

**- ბოლმას სად და როგორ ანთხევთ ხოლმე?**

- (იცინის) ბოლმიანი ნამდვილად არ ვარ, ცხოვრებას მარტივად ვუყურებ. გულდასაწყვეტია, როცა რაღაც ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა, მაგრამ ამისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს. საბედნიეროდ, შესანიშნავი მეგობარი გოგონა მყავს. რომ არა მარტა, ახლა დეპრესიაში ვიქნებოდი. სხვათა შორის, როცა ყველაფერი კარგად იყო, მუდმივად ვთამაშობდი და მოედანს უგოლოდ არ ვტოვებდი, ძალიან ბევრი მემეგობრებოდა. ახლა კი, როცა არ მათამაშებენ, ბევრი ჩამომშორდა, მაგრამ გარკვეული ნაწილი ჩემთან დარჩა და დღემდე მხარს მიჭერს. ერთი სიტყვით, კრიზისის დროს მივხვდი, ვინ არიან ჩემი ნამდვილი მეგობრები და მათ ძალიან ვაფასებ. არა უშავს, ფაქტია, რომ დავბრუნდები და გოლებს გავიტან და ფაქტია ისიც, რომ ჩემთან მეგობრობა ისევ ბევრს მოუნდება, მაგრამ მე მათ აღარ მივიღებ.

**- თუ „ბაიერნში“ სათამაშო პრაქტიკა არ გექნებათ, დიდი შანსია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდეთ...**

- დიახ. დღევანდელი გადასახედიდან ჩემი მუნდიალზე ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშაა. რაკი იტალიაში არ ვთამაშობ და ლეგიონერი ვარ, სხვებზე უკეთესად უნდა ვთამაშობდე, რათა ნაკრებში ამიყვანონ. ჩემთვის „სკუადრა აძურა“ ყველაზე მნიშვნელოვანია. იტალიის ნაკრებს მიღმა დარჩენა ჩემთვის დიდი ტრაგედია იქნება.

**- და ამის გამო სერიოზულად ფიქრობთ ზამთარში მიუნხენი დატოვებაზე?**

- დღეს ნამდვილად არ ვიცი, რა მოხდება იანვარში. „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს და ძალიან მინდა, რომ მინიმუმ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მიუნხენში ვითამაშო, მაგრამ თუ არ მენდობიან და იანვრამდე არ მათამაშებენ, მაშინ აუცილებელი იქნება, რომ დავსხდეთ და დავილაპარაკოთ, რადგან სათამაშო პრაქტიკა ძალიან მჭირდება.

**- „ბაიერნმა“ ახალი სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და როგორ ფიქრობთ, მოიგებს რეკორდმაისტერი გერმანიის ჩემპიონატს?**

- „ბაიერნის“ გულშემატკივრები ძალიან ლმობიერები არიან და ამისათვის თითოეული მათგანი უნდა დავაფასოთ. იტალიაში გრანდმა სეზონი ასე ცუდად რომ დაიწყოს, ფანები ფეხბურთელებს მოედანზე შეუცვივდებიან და მიბეგვავენ. ფაქტია, რომ ჩვენ დღეის შემდეგ შეცდომების დაშვებისა და ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. „ბაიერნმა“ ამ ზაფხულს ტრანსფერებში 70 მილიონი ევრო დახარჯა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალდებულები ვართ, წარმატებით ვიასპარეზოთ. რაც შეეხება ბუნდესლიგის მოგების შანსებს: დღევანდელი მდგომარეობით „ვერცხლის სინის“ დაბრუნების შანსი ძალიან მცირეა.

**- რაც თქვენთვის დამატებითი ზეწოლაა...**

- მიყვარს, როცა ზეწოლის ქვეშ ვარ. ვფიქრობ, თუ შანსი მომეცემა, გოლებს გავიტან.

**- „ბაიერნს“ ბუნდესლიგაში მომდევნო მატჩი „ფრაიბურგთან“ ელის. გაქვთ იმის იმედი, რომ განაცხადში იქნებით?**

- რა თქმა უნდა! ძალიან გაბრაზებული ვარ და მინდა, მოედანზე ბევრი რამ დავამტკიცო. მინდა, „ბაიერნს“ გერმანიის ჩემპიონატის მოგებაში დავეხმარო და სეზონის შემდეგ მუნდიალზე გავემგზავრო.

**- და თუ მუნდიალზე არ წაგიყვანენ?**

- ამაზე ჯერ არ მიფიქრია და არც მინდა, ვიფიქრო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემ გარეშე ჩაივლის...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერული ამბები

# ჰეი, რა მოდის მანდ, მომავლიდან?

როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედს" **გლეიზერების** ოჯახი დატოვებს, კლუბის ფინანსური საქმეები შეიძლება ძალიან ცუდად წავიდესო, - ამბობს „იუნაიტედის" ყოფილი თავმჯდომარე **მარტინ ედვარდსი.** თავად ფეხბურთის გუნდს ვერაფერს დაუწუნებ, ზედიზედ სამჯერ ინგლისის ჩემპიონი გახდა, ზედიზედ ორჯერ კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, მაგრამ ამერიკელი გლეიზერები მაინც ვალში არიან და თან როგორში – მავანისა და მავანის 700 მილიონი ფუნტი მართებთ. ეს ის ფულია, მილიარდერთა ოჯახმა 2005 წელს „მანჩესტერ იუნაიტედის" საყიდლად რომ ისესხა და ზედ ყოველწლიური პროცენტიც რომ დაემატა.

თუ ვინმეს დაავიწყდა, ვინ არის ედვარდსი, შევახსენებთ, რომ ამ კაცს თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედში" 22 წელიწადი აქვს გატარებული. როგორც მოგახსენეთ, კარგა ხანს თავმჯდომარეც იყო. უკვე ლეგენდად ქცეული სერ **ალექს ფერგიუსონი** გუნდში სწორედ მისი მიყვანილია. ასე რომ, შემთხვევითი კაცი არ გახლავთ და როდესაც საქმე „იუნაიტედს" ეხება, გულგრილად არაფერს ლაპარაკობს. ჰოდა, სწორედ მარტინ ედვარდსმა გაბედა საჯაროდ ლაპარაკი იმ თემაზე, რომელსაც მანჩესტერელები რატომღაც ერიდებოდნენ და მხოლოდ გულშემატკივრები თუ გადაუჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს გაფართოებული თვალებით. რა იქნება მომავალში? ეს კითხვა, როგორც ჩანს, „ოლდ ტრეფორდის" საზოგადოებისთვის მეორეხარისხოვანი არ არის.

ედვარდსი, რომელიც გადადგომის შემდეგ ინგლისის ჩამპიონთა საპატიო პრეზიდენტი გახლავთ, ასე ბრძანებს: *„კლუბი სერიოზულ ვალშია და ეს ძალიან მაშფოთებს. დღეს „იუნაიტედს" ვერ მართავენ, რადგან თავად გლეიზერების ოჯახს მართავს ვალი. ამიტომაც კარგად მესმის იმ ფანების, რომლებიც შიშობენ, რომ მომავალში საქმე კარგად ველარ იქნება. სხვათა შორის, გლეიზერებს ერთ რაღაცაში ვერ დავემდურები: ამდენი ხანია ისინი მწვრთნელსაც მხარში უდგანან, კლუბის მართვაში უხეშად ჩარევასა და სტილის შეცვლასაც არ ცდილობენ და არც დირექტორატიდან ჰყავთ რომელიმე პიროვნება ამოჩემებული.*

*მოკლედ, დრო ყველაფერს გვაჩვენებს. ვფიქრობ, სირთულეები მაშინ დაიწყება, როდესაც გლეიზერები წავლენ. შეძლებენ ისინი ვალების თავიდან მოშორებას და კლუბის ამ ტვირთისგან გათავისუფლებას თუ უბრალოდ, გაყიდიან მას, მოგება რომ ნახონ? თუ, მეორე მოხდება, გამოვა, რომ ამ ხალხს „მანჩესტერ იუნაიტედში" ფულის გარდა სხვა ინტერესი არ ჰქონია".*



სანამ გლეიზერები იუნაიტედში არიან...

ოთხი წლის წინ, როდესაც გლეიზერების ოჯახმა „მანჩესტერ იუნაიტედი" 828 მილიონ ფუნტად იყიდა, 556 მილიონი ისესხა. ვალი, ბუნებრივია, პროცენტიანი იყო და დღეს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ის 700 მილიონამდეა გაზრდილი.

ედვარდსის კომენტარმა „მანჩესტერ იუნაიტედის" ქომაგებში დიდი შფოთვა გამოიწვია. განსაკუთრებით ის ფანები გააქტიურდნენ, რომლებმაც ამერიკელი მილიარდერების დანახვაზე თავის დროზევე დატოვეს „იუნაიტედის" ფან კლუბები და პროტესტის ნიშნად ალტერნატიული ფეხბურთის კლუბი, FC United დააფუძნეს. საინტერესოა, რომ ყოფილი თავმჯდომარის მოსაზრებებს არ იზიარებს სერ ალექსი, რომელსაც რამდენჯერმე გლეიზერების შესახებ სულ სხვანაირად ულაპარაკია. შეიძლება ითქვას, რომ ფერგიუსონი გლეიზერებს ხოტბასაც კი ასხამდა.

რაკილა სიტყვამ კიდევ ერთხელ მიგვიყვანა სერ ალექსთან, ბარემ მსაჯ **ალან უაილის** საქმესაც შევეხოთ, მით უფრო, რომ შაბათს, „ოლდ ტრეფორდზე" „სანდერლენდთან" ფრის შემდეგ ფერგიუსონის გაფიცხებას კუდები ებმება და ებმება. მოგეხსენებათ, ფერგიმ შეხვედრის მსაჯს სუსტ ფიზიკურ მომზადებაში დასდო ბრალი, რის გამოც სრულიად ინგლისის მსაჯთა რისხვა მოიმკა. დღე ისე არ გავა, ხან ერთმა და ხან მეორე ორგანიზაციამ თუ პიროვნებამ ფერგიუსონის დასჯა და მისთვის სამაგალითოდ ჭკუის სწავლება არ მოითხოვოს. საპასუხოდ, ამ ისტერიაზე რეაქცია ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედსაც" რომელიც, ბუნებრივია, მწვრთნელს დაუდგა მხარში:

*„მანერა, რომლითაც ეს ამბავი საზოგადოებას მოსდეს, მიუღებელია - გააპროტესტა მანჩესტერულმა კლუბმა - ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციაზე არნახული ზეწოლაა, რათა ამ ორგანიზაციამ ვერდიქტი გავლენით დამძიმებულმა გამოიტანოს. ქვეყანას მოსდეს შიდა მოხმარების კონფიდენციალური სტატისტიკა. რამდენადაც „იუნაიტედმა" იცოდა, კომპანიებს, რომლებიც ასეთ სტატისტიკას აწარმოებენ, მისი პრესისა და ტელევიზიისთვის გადაცემის უფლება არ აქვთ. სერიოზულად ვშიშობთ იმასაც, რომ მსაჯთა ამქარი სადისციპლინო პროცესში სერიოზულად ჩაერევა".*

ალბათ, იოლად მიხვდით, რომელი სტატისტიკის გახმაურებას აპროტესტებს „მანჩესტერ იუნაიტედი". საქმე ეხება ProZone-ის პროფესიულ დაკვირვებას, რომელიც ყოველი თამაშის შემდეგ ზუსტად ალრიცხავს მატჩის თითოეული მონაწილის, მათ შორის მსაჯის მიერ გარბენილ მანძილსა თუ სხვა მონაცემს. სწორედ ProZone-ის მონაცემები მოხვდა ინგლისურ მედიაში და ასე დამტკიცდა (თან საჯაროდ), რომ ფერგიუსონი ალან უაილის ფიზიკურ სისუსტეს ტყუილად აბრალებდა.

ბიზნესი

## ისევ კვერცხი მოგორავს

ინგლისურმა მედიამ შეიტყო, რომ **ეგერტ მაგნუსონი** „ვესტ ჰემ იუნაიტედში" დასაბრუნებლად გეგმებს აწყობს, - ჯერჯერობით, ფარულად. ის რომ, ისლანდიელ ბიზნესმენსა და ისლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს კვლავ უნდა „აპტონ პარკზე" დაბრუნება ლონდონური კლუბის არააღმასრულებელ დირექტორად, ივნისში დანიშნულმა **ენდრიუ ბერნჰარდტმაც** ახლახან გაიგო.

როგორ შეხვდება ისლანდიელის დაბრუნებას „ჩაქუჩების" ფანობა? მათთვის, ადამიანი მეტსახელად **ეგი**, ანუ კვერცხი (ასე, გაცვენილი თმისა და თავის ფორმის გამო შეარქვეს) გახლავთ ის, ვინც კლუბის ფინანსურ გაუბედურებაში ლომის წილი შეიტანა. მაშ, რატომ არ ეშვება გადამდგარი თავმჯდომარე ლონდონის კლუბს? იმიტომ, რომ თავს განტევების ვაცად გრძნობს. ის დარწმუნებულია, რომ „ვესტ ჰემის" გაპარტახების მთავარი მიზეზი კლუბის ყოფილი მეპატრონე და მისი თანამემამულე **ბიორგოლფურ**



ეგერტ მაგნუსონი

**გუდმუნდსონია**, რომლის საბანკო იმპერია მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა შეიწირა. დიახ, 2006 წელს, „ჩაქუჩთა" ყიდვისას მთავარი ფიგურა მაგნუსონი კი არა, გუდმუნდსონი გახლდათ. არა, წილი ეგისაც ჰქონდა, მაგრამ ეს წილი მოკრძალებული გახლდათ. ის, უბრალოდ, თავმჯდომარედ დანიშნეს და პრაქტიკული საქმე ჩააბარეს. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დრო შეყლაპა და გუდმუნდსონიც იძულებული შეიქნა, ხელი აელო „ვესტ ჰემის" მფლობელ კომპანია CB Holdings-ზე, რომელსაც ახლა მევალეები აწუხებენ და მასაც ფეხბურთის კლუბის თავიდან მოშორება აქვს გამიზნული.

როგორც ირკვევა (ყოველ შემთხვევაში თავად ასე ამბობს), მაგნუსონი „ვესტ ჰემის" დიდი გულშემატკივარია და კლუბის გასაჭირს მშვიდად ვერ უყურებს. მოგახსენეთ კიდეც, რომ მას გადაწყვეტილი აქვს დაბრუნდეს, ოღონდ ხელცარიელი არ მოდის, თან 100 მილიონი ფუნტი მოაქვს. მაგნუსონის გარდა „ჩაქუჩები" კიდევ ორ პოტენციურ მყიდველს ევაჭრება. მათ შესახებ, ამ ეტაპზე ის არის ცნობილი, ერთი აზიიდანაა, მეორე კი ამერიკიდან.

CB Holdings-ი ძირითადად ისლანდიის ბანკის Straumur-ის საკუთრებაა და მისი მთავარი დირექტორი ზემოხსენებული ბერნჰარდტი გახლავთ. დაბოლოს, ისევ მაგნუსონის შესახებ: კვერცხი 62 წლისაა და ლონდონში ცხოვრობს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

მსაჯთა სატკივარი

# გავაძევოთ ათი წუთით!



ედუარდოს ყბადაღებული ვარდნა

კარგი იქნება, თუკი „მყვინთავებს" მოედნიდან საჯარიმო დროით გააძევებენ - ასე ამბობს ფიფას ვიცე-პრეზიდენტი და კონკაკაფის შეფი **ჯეკ უორნერი.** კონკაკაფი, მოგეხსენებათ, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის, ასევე კარიბის ზღვის აუზის ფეხბურთის კონფედერაციაა. სხვა სიტყვებით, ამ რეგიონისთვის იგივეა, რაც უეფა ევროპისთვის. ხოლო „ყვინთვა" მსოფლიო საფეხბურთო ჟარგონზე მსაჯის მოსატყუებლად სიმულაციას, ყასიდად წაქცევას ნიშნავს. ერთი სიტყვით, ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე" გამართულ ფეხბურთის ლიდერთა კონფერენციაზე უორნერმა კოლეგებს ასე მიმართა:

*„დროა, ფიფამ წესები გაამკაცროს. ფეხბურთელი, რომელიც ისიმულანტებს, ათწუთიანი დისკვალიფიკაციით უნდა დასაჯონ. ასეთი წესი „ყვინთვას" ბოლოს მოუღებს და სამართალიც აღდგება. ბოლოს და ბოლოს, ხალხი ფულს იმაში კი არ იხდის, რომ უყუროს, როგორ გორავს ზოგი ფეხბურთელი, მერე კი გეგონება, ლაზარეს სასწაული მოხდაო, სალ-სალამათი წამოხტება და გარბის".*

ჯეკ უორნერის იდეას ინგლისის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე, ლორდი **მოუჰინი** გამოეხმაურა და თქვა, რომ მოსაზრება თავისთავად საინტერესოა, მაგრამ მისი განხორციელება ფიფასა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდება. გარდა ამისა, ლორდმა მოუჰინმა განაცხადა, რომ მყვინთავებთან ეფექტური ბრძოლის საშუალებას მსაჯებს ფეხბურთის დღევანდელი წესებიც აძლევს, უბრალოდ, ისინი ამ საშუალებას ყოველთვის არ იყენებენ. ლორდმა ბრძანა:

*„ეს ეხება „ყვინთვასაც" და მეტოქის მაისურით დაჭერასაც. მსაჯს არავინ ზღუდავს. აი, წესების წიგნი, რომელიც არბიტრებმა კიდევ ერთხელ უნდა გადაიკითხონ და შემდეგ მას ზედმიწევნით მისდიონ. მაშინ ყველაფერი გამოსწორდება, მაყურებლისთვისაც ყოველივე თვალსაჩინო და ნათელი გახდება. ამის შესახებ კულუარებში წლობით ვლაპარაკობთ, მაგრამ პროგრესს ვერა და ვერ ვხედავ".*

ძალიან საინტერესოა, რომ ტრინიდადელმა უორნერმა სერ **ალექს ფერგიუსონისა** და **ალან უაილის** საქმეზეც გამოთქვა თავისი საკმაოდ მკაცრი მოსაზრება. მან ბრძანა:

*„ჩვენ სპორტში ვმუშაობთ და აქ უკმაყოფილებას ყოველთვის წავაწყდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალოდ უკმაყოფილებასთან, არამედ ბრალდებასთან. მწვრთნელმა თქვა, რომ მსაჯი ფიზიკურად არ იყო მზად და თითოეული ფეხბურთელის გაფრთხილებას 30 წამს უნდებოდა, რათა დაესვენა. ეს სერიოზული ბრალდებაა, ზღვარგადასულიც კი, მით უფრო ისეთი არბიტრის მისამართით, როგორიც უაილია. ეს უსამართლობაა. თუ მატჩისათვის შემადგენლობა კარგად ვერ შეარჩიე და თამაში საკუთარი მიზეზით ვერ მოიგე, კეთილი ინებე და მსაჯს ნურაფერს დააბრალებ. მე ამ შემთხვევაში იმას კი არ ვამბობ, რომ ასე სერ ალექს ფერგიუსონი მოიქცა. არც იმას ვამბობ, რომ არ მოქცეულა. უბრალოდ, მინდა განვაცხადო, რომ მსაჯობა ურთულესი საქმეა და არბიტრებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ უნდა დავეხმაროთ".*

ეროვნული ბიბლიოთეკა


მომგებიანი ბილეთი

# აღმოაჩინე 3 ერთნაირი ერთეული






# იპოვე შენი იღბლიანი შვიდიანი






# შეიძინე 1 ოქტომბრიდან და მოიგე 1 000 ლარამდე!

## მიიღეთ მოგებული თანხა სახალხო ბანკის ფილიალებში

GLC შპს საქართველოს ლატარიის კომპანია
Georgian Lottery Company LLC

649 649
www.georgianlottery.com

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ინტერვიუ ოთარ ტატიშვილთან

# გამარჯვებული ტატიშვილი ბრუნდება?

**ოთარ ტატიშვილთან სასაუბროდ გაორებული გრძნობით მივდიოდი. ერთი მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონატზე 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მანუჩარ ცხადაიასა და ფარიდ მანსუროვის სკანდალურ ფინალზე არ მეკითხა, არ იქნებოდა, მაგრამ ვიცოდი, პირდაპირ არ მიპასუხებდა. მისიც კარგად მესმის, მაგრამ არ მიყვარს ისეთი კითხვები, რომლებზეც პასუხი წინდაწინვე ვიცი...**

**აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცის პოსტზე ტატიშვილმა ისეთი დებიუტი მოიწყო, ბევრი ინატრებდა. დანიაში მისი ექვსკაციანი გუნდიდან ჯილდო ზუსტად ნახევარმა მოიპოვა, თუმცა მედლისთვის ხუთმა იჭიდავა. საბოლოოდ მისმა შეგირდებმა ერთი ოქრო, ორი ბრინჯაო და გუნდური მესამე ადგილი ირგუნეს. ტატიშვილის გუნდმა შედეგებით ხომ აჯობა ჩვენსას, ორმა ქართველმა აზერბაიჯანელთან წააგო!**

**ამ ჩემპიონატის შემდეგ თბილისში წარმატებული მწვრთნელის საქართველოში დაბრუნების საკითხიც უმალ გამოცოცხლდა, მაგრამ თვითონ ამ თემაზე ლაპარაკსაც მოერიდა. სამაგიეროდ, ოთხშაბათს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გენაძემ საკითხი მოგვარებულად გვამცნო. მოკლედ, ტატიშვილმა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე - არა, მაგრამ სხვა საინტერესო თემებზე ჩვეული სიტყვაუხვობით ისაუბრა.**



ოთარ ტატიშვილი

**- გადამწყვეტ შეხვედრებში სხვა ქვეყნის სპორტსმენთა მწვრთნელად სხვა დროსაც ყოფილხართ, მაგრამ ასეთ კრიტიკულ შეხვედრაში ქართველის პირისპირ პირველად აღმოჩნდით. რთული იყო ამ ვითარებაში ყოფნა და თანაც ასეთი სკანდალური ფინალის ფონზე?**

- ამ თემაზე ვრცლად ვერ ვილაპარაკებ. ჩემი დღევანდელი სამსახური ასეთია, თუმცა ეს არ ნიშნავს ქართველების წინააღმდეგ გამოსვლას. როცა სხვა ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხარ, ეს არ ნიშნავს, რომ კონკრეტულად ვილაცის წინააღმდეგ ამზადებ შეგირდს, იქ ყველასთან საბრძოლველად ემზადები. ნებისმიერ საქმეში ასეა - ყველა ადგენს სამოქმედო გეგმას, ბევრი რამ კი მის ხარისხიან შესრულებაზეა დამოკიდებული.

**- ალბათ, შედეგებით ყველა კმაყოფილი იქნებით – თქვენც, ფედერაციაც, ქომაგებიც.**

- არ ვტრაბახობ, მაგრამ აზერბაიჯანმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოიპოვა სამი მედალი, აქედან ერთი ოქრო და ორი ბრინჯაო, რასაც ორი მეხუთე ადგილიც უნდა დავამატოთ. მსოფლიოს პირველობაზე ექვსი სპორტსმენი გვყავდა და აქედან ხუთმა მედალზე იჭიდავა! თან გუნდურ პირველობაში მესამეზე გავედით. ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტისგან სპორტის განვითარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება, განაცხადა, ჩვენმა მემატიანეებმა ახალი ფურცელი უნდა ჩაწერონ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ისტორიაშიო. ეს წარმატება განსაკუთრებით სასიამოვნო ევროპის ჩემპიონატზე უფერული გამოსვლის ფონზე აღმოჩნდა. თან ამას სულ ადგილობრივი სპორტსმენების ხარჯზე მივაღწიეთ - ამ ხუთეულში ლეგიონერი მხოლოდ 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი შალვა გადაბაძეა. სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატზეც აზერბაიჯანს ერთადერთი მედალი მან მოუტანა - მესამეზე გავიდა. შედეგით კმაყოფილია სახელმწიფოც, სპორტის მმართველი ელიტაც და ქომაგიც. ქვეყნის უმაღლეს ორდენზეც წარმადგინეს და ახლაც, თბილისში მყოფი, ყოველ წუთს ველოდები ბაქოში გამოძახებას.

**- როგორც გავიგეთ, ბაქოში დაბრუნებულებს დახვედრაც პომპეზური მოგიწყვეს...**

- ეს ყველა ქვეყანაში ასეა - გამარჯვებულებს ხომ ჩვენთანაც ზეიმით ხვდებიან. აზერბაიჯანს რაც შეეხება, საზეიმო დახვედრა იქაც იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ რაღაც ძალზე პომპეზური და არნახული. როგორც ჩემპიონებს ხვდებიან, ჩვენც ისე დაგვხვდნენ.

**- რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ მამიაშვილმაც კი გაიკვირვა, აზერბაიჯანი, ირანი და თურქეთი კოლოსალურ თანხებს დებენ ჭიდაობაშიო. მართლა ასეთი დიდი ფულია დაბანდებული და ეს პრემიებზე თუ აისახა?**

- აზერბაიჯანი ჭიდაობაში რა თანხებს აბანდებს, ზუსტად არ ვიცი - ეს არაა ჩემი საქმე და არც ვერევი, ირანმა კი შარშან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 70 მილიონ დოლარს ხარჯავდა. პრემიებს რაც შეეხება, ეს საკითხი ხელშეკრულებითაა გასაიდუმლოებული და ამაზე ვერ გიპასუხებთ. ფედერაციას ინდივიდუალური კონტრაქტები აქვს როგორც ჩემთან, ასევე - სპორტსმენებთან. ნაკრები იქაც ორლეიბიან დარბაზში ვარჯიშობს - არ გეგონოთ, რაღაც ზღაპრული პირობები გვქონდეს, თუმცა ახლა კი აშენებენ 18-ლეიბიან დარბაზს. რამე პრობლემა თუ წარმოგვექმნება, უმალ აგვარებენ.

**- ყველაზე უფრო საჩოთირო საკითხსაც შევეხოთ - მანსუროვ-ცხადაიას სკანდალურ ფინალს...**

- მე მწვრთნელი ვარ და არა მსაჯი. ამიტომ ამ შეხვედრის შეფასებისგან თავს შევიკავებ. ალბათ, მსაჯს თავისი არგუმენტები ჰქონდა.

**- მაშინ ასე გკითხავთ - თქვენ რომ მსაჯი ყოფილიყავით, იმ სადაო ეპიზოდს როგორ შეაფასებდით?**

- მსაჯი რომ ვყოფილიყავი, მაშინ გეტყოდით, როგორ მოვიქცეოდი, ახლა კი თავს შევიკავებ. მსაჯის ფუნქციებში შეჭრის არავითარი უფლება არ მაქვს. თუმცა იმას კი ვიტყვი, რომ ცხადაია წასაგებად ძალიან შემეცოდა - ის მართლაც კარგი მოჭიდავეა.

**- მანსუროვი საქართველოშია დაბადებული. ახსოვს აქაურობა?**

- ის და მისი ოჯახი მარნეულიდან არიან გადასახლებულები. მაშინ პატარა ყოფილა და ჭიდაობაც ბაქოში დაიწყო. ამდენად, ამ ბიჭის სპორტსმენობა მთლიანად იქაური სკოლის დამსახურებაა. მისი მშობლები ქართულად ლაპარაკობენ, თვითონ კი უჭირს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მითხრა, წარმომიდგენია, რამდენად ძნელ მდგომარეობაში იყავითო.

სხვათა შორის, 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ევროპის ორგზის ჩემპიონს, ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ როვშან ბაირამოვს დედა ქართველი ჰყავს და ქართულად ცოტას ისიც ლაპარაკობს. ორივე კარგი სპორტსმენია, დამჯერი, მშრომელი და მიადვილდება მათთან მუშაობა. შესრულების კულტურა მაღალი აქვთ - დავალებებს კარგად ასრულებენ.

**- ზოგადად, მათთან მუშაობა უფრო იოლია თუ ჩვენებთან? არის მენტალური განსხვავება?**

- მუშაობა იოლი არსად არის, მაგრამ შენს საქმეს კარგად თუ გააკეთებ, შედეგს ყველგან მიაღწევ. შრომა აუცილებლად დაფასდება. სამუშაო პროცესი სირთულეების გარეშე არ არსებობს. ეს ასეა იქაც და აქაც, მაგრამ მთავარია, კეთილსინდისიერად იმუშაო. სპორტსმენები ყველაფერს გიჯერებენ, რასაც ეუბნები - „კოკა-კოლის", გაზიანი სასმელების დალევა რომ ავუკრძალე, არც დაულევიათ. ამ წარმატებაში საქმისადმი ჩემეულ მიდგომასთან ერთად შესრულების მაღალი კულტურაც წაადგათ. იგივე მანსუროვის სუსტი წერტილი ჩოქბჯენში თავის დაცვა იყო, მაგრამ ახლა ისე დავამუშავეთ, ვერც ამ მსოფლიოზე აიყვანა ვინმემ ხალიჩიდან, ვერც – ბაქოს დიდ პრიზზე და ვერც მანამდე – იტალიაში. ეს ტრაბახი არ არის, რადგან ერთ ხალხმრავალ ღონისძიებაზე თვითონაც მადლობა გადამიხადა ამისთვის. არადა, ევროპის ჩემპიონატზე ჩოქბჯენიდან ცხადაიამაც გადააგდო და კიდევ ორმაც.

თუმცა უცხო ქვეყანაში მწვრთნელის მდგომარეობა მაინც რთულია – კონკურენტი არავის მოსწონს. შედეგად, ჩვეულებრივ სამუშაო სირთულეებს სხვაც ემატება. მაგალითად, ამ ჩემპიონატამდე ფედერაციის პრეზიდენტს ენა მიუტანეს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონსა და ამ მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ვიტალი რახიმოვზე, - ტატიშვილი კარგად არ ავარჯიშებს, რადგან ამ წონაში საქართველოს ნაკრებში მისი მოსწავლე რევაზ ლაშხი ჭიდაობსო. ასეა - კონკურენტი არავის მოსწონს, თორემ მსოფლიოზე ლაშხმა ზუსტად რახიმოვთან წააგო. ახლა რას ამბობს ის მწვრთნელი, ან თქვენ რატომ არ სთხოვთ პასუხს-მეთქი? - ვიკითხე ბაქოში დაბრუნებულმა. საბედნიეროდ, სპორტსმენებთან იოტისოდენა სირთულეებიც არ შემქმნია. დღევანდელი ნაკრების წევრებს ჭაბუკობიდან ვიცნობ, ამდენი წელიწადია, ერთ სფეროში ვტრიალებთ, ერთმანეთს ვხვდებით, რაც მათთან ურთიერთობაში ძალიან დამეხმარა. პრობლემები არც ხელმძღვანელობასთან შემქმნია. საერთოდ, მოსმენა იციან. როცა ეტყვი, რა გჭირდება და ამ საჭიროებას დაასაბუთებ, მაშინვე გისრულებენ. ყოველგვარ პრობლემას უმტკივნეულოდ აგვარებენ.

**- ალბათ, აქაურებიდან ყველაზე მეტად რამაზ ნოზაძის წაგებაზე დაგწყდათ გული.**

- გული ყველას წაგებაზე დამწყდა, არა მხოლოდ ნოზაძეზე. ვიმეორებ – ერთია სცენარი, მაგრამ მეორეა მისი შესრულება და არ ვიცი, რატომ ვერ შეასრულეს დავალება. ნოზაძეს რაც შეეხება, აპრილში რომ წავედი, ოპერაციაც გაკეთებული ჰქონდა და აღდგენითი პროცესიც კარგად მიდიოდა, მერე კი რა მოხდა, როგორ განვითარდა მოვლენები, ვერ გეტყვით. ტელეფონით კი ვუკავშირდებოდით ერთმანეთს და მეტნაკლებად ვიცოდი მისი ამბები, მაგრამ დეტალები არ ვიცი. არადა, რასაც ვუყურე, ძალიან კარგად იყო მომზადებული. ხუშტოვთან წაგებულ შეხვედრაში იყო რამდენიმე შეცდომა, რომელიც არ უნდა დაეშვა. ეტყობა, ურთიერთშეხვედრებში არსებული უარყოფითი ბალანსი გავლენას ახდენს, თორემ 2006 წლის მსოფლიოს პირველობაზე მას ბრწყინვალედ მოუგო. ალბათ, ამხელა ოპერაციების შემდეგ აღდგენითი პროცესიც არ ეყო.

**- თქვენი ხელი ხომ არ მოაკლდა?**

- არა. სამ თვეში ჩემი ხელი ამდენად როგორ უნდა დაჰკლებოდა, აქ ხომ მუშაობდნენ მწვრთნელები. თანაც, ვიმეორებ – რასაც ვუყურე, მომზადებული იყო. მოთელვაზე ძალიან კარგ ხასიათზეც იყო, იქ კი რა მოხდა, რა დააკლდა, მან უნდა თქვას.

**- თქვენი აზრით, რა დააკლდა?**

- მსოფლიოს ჩემპიონობა ასე იოლად არ მოდის. ნოზაძემ ორი ურთულესი ოპერაცია გადაიტანა, რამაც წვრთნის სისტემური რეჟიმი დაურღვია. არადა, წარმატებისთვის სისტემატურობა, უწყვეტობა ძალიან მნიშვნელოვანია, თორემ რამდენიმე თვის ვარჯიშით ამხელა შედეგი არ მიიღწევა. მაინც მგონია, რომ აღდგენითი პროცესი დააკლდა. გაჭიანურებული ტრავმების გამო ვერც ტურნირებში გამოვიდა და ბოლოს ფორსირებულად მოუწია ჭიდაობამ შეჯიბრებებში – მადრიდში ჭიდაობიდან ძალიან მალე ბაქოს დიდ პრიზზე გამოვიდა. იქ გამოსვლა თავიდანვე დავუშალე, მაგრამ თვითონ ასე გადაწყვიტა.

**- ეს ტურნირის კომერციულმა მხარემ განაპირობა თუ სხვა ფაქტორმა?**

- ალბათ, უფრო სტარტის უკმარისობამ, სატურნირო პრაქტიკის აუცილებლობამ და არა ეკონომიკურმა ფაქტორმა. ის ხელფასს იღებს, სახელმწიფოც ბრწყინვალედ ზრუნავს სპორტსმენებზე და არა მგონია, გადამწყვეტი ეს ფაქტორი ყოფილიყო.

**- ბაქოში სავარჯიშოდ მის წაყვანას ისევ გეგმავთ?**

- უკვე ისეთი მდგომარეობაა, ჯერ მეც არ გადამიწყვეტია ჩემი მომავალი და ეს საკითხიც გამოირიცხა. ეტყობა, ჩემი სურვილი მაშინაც არასწორად გაიგეს, თორემ მხოლოდ შეკრებებს შორის შუალედებში იქ ვარჯიშზე ვლაპარაკობდი და არა ვინმეს წაყვანაზე. ვგულისხმობ როგორც ნოზაძეს, ისე სხვა ბიჭებსაც, რომლებიც იქ იყვნენ წამოსულები. ამ ნაბიჯით მხოლოდ ერთობლივი წვრთნების საშუალებით სასწავლო პროცესის განახლება მინდოდა - მათ ცალკეულ წონებში გარკვეული ჩავარდნები აქვთ და ჩვენებს სიამოვნებით მიიღებდნენ სავარჯიშოდ. ფაქტობრივად, მათ ფინანსებს ჩვენი ბიჭების მოსამზადებლად გამოვიყენებდით და ესენიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, სისხლს გამოიცვლიდნენ. ვინც იქ იყო წამოსული, დღეს ყველა დაბრუნდა საქართველოში. ვფიქრობ, წაადგათ ბაქოში ვარჯიში.

ირაკლი თავაძე

ხელბურთი

# ნაკრები მეტრეველს ჩააბარეს

როგორც ხელბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ამიერიდან **მერაბ მეტრეველი** გაწვრთნის. მას ამ თანამდებობაზე ადრე არასოდეს უმუშავია, მაგრამ ქართველ მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილია. რამდენიმე წლის წინ მეტრეველის ხელმძღვანელობით საქართველოს სტუდენტთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. ბოლო წლებია, იგი კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მრჩევლად მუშაობს. მეტრეველმა **ბექა ორჯონიკიძე** შეცვალა, რომელიც მთავარი მწვრთნელის მოვალეობას დროებით ასრულებდა.

ახალი მწვრთნელი ეროვნულ გუნდს "ჩელენჯ კაპისთვის" მოამზადებს. ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში ჩვენი ჯგუფის მატჩები მოლდოვაში გაიმართება, სადაც მასპინძელთა გარდა საქართველოს მეტოქეები სომხეთი და აზერბაიჯანი იქნებიან.

ნაკრები 14 ოქტომბერს შეიკრიბება და, სავარაუდოდ, დილმის დარბაზში ივარჯიშებს. თავიდან მეტრეველის განკარგულებაში მხოლოდ ქართული კლუბების ხელბურთელები იქნებიან, 20 ოქტომბრიდან კი საწვრთნელ პროცესს ლეგიონერებიც შეუერთდებიან. მოლდოვაში წამსვლელი შემადგენლობა 28 ხელბურთელისგან აირჩევა.

ლევან ჯანეზაშვილი

კარატე

# ვერცხლის მედლით მსოფლიოს ჩემპიონატიდან

საგრძნობლად იმატა ჩვენი კარატისტების წარმატებებმა საერთაშორისო სარბიელზე, თუმცა ეს შემთხვევა პირველია, როცა უფროს ასაკში პირველად მოვიპოვეთ მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი. ეს ჯილდო წილად ხვდა **ლაშა ხაჭაპურიძეს** ბუდაპეშტში. ჩემპიონატში მონაწილეობდა კონტაქტური კარატეს სპორტის საბრძოლო სახეობათა 21 საერთაშორისო ფედერაციის, მსოფლიოს 53 ქვეყნის, 500-ზე მეტი მებრძოლი.

ჩვენი ნაკრების ღირსებას იცავდნენ: **გიორგი გულისაშვილი, ედუარდ გერლიანი, გოჩა სამხარაძე, გიორგი მეხრიშვილი**(ოთხივე-თბილისი) **ლევან ცინცაძე, რატი წითელაძე** (ორივე-ბათუმი), **ლევან პარწიკანაშვილი**(თელავი), **ლაშა ხაჭაპურიძე, გივი კარკალაია**(ორივე - "სპორტის აკადემია"). თითქმის ყველამ შეძლო 3-4 ბრძოლის წარმატებით ჩატარება. წითელაძეს, პარწიკანაშვილს და კარკალაიას თითო ნაბიჯი დააკლდათ მედლებამდე.

ლაშა ხაჭაპურიძე ინდონეზიელ, იაპონელ, სამხრეთაფრიკელ, ინგლისელ და უნგრელ სპორტსმენთან გამარჯვებების შემდეგ ფინალურ ორთაბრძოლაში მისთვის კარგად ნაცნობ, ევროპის ორგზის ჩემპიონ და მსოფლიო თასის პრიზიორთან, მასპინძელი ქვეყნის მებრძოლ **გაბორ როსზასთან** ვაზარით დამარცხდა, რაც ფინალამდე ინგლისელ სპორტსმენთან მიღებულმა ტრავმამ განაპირობა.

საქართველოს ნაკრებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის და უნგრეთის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. უკან ჩამოიტოვა ევროპის არაერთი წამყვანი ქვეყნის, აგრეთვე თვით იაპონიის ნაკრები.

ირაკლი დოლაბერიძე

## გასწორება

„ლელოს" გუშინდელ ნომერში მე-10 გვერდზე მეოთხე სვეტში გამოქვეყნებულ ფოტოზე წარწერა უნდა იკითხებოდეს: „დავით ხუციშვილი"...

ქართული სპორტი

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას ჩვიდმეტიანი გაელვება


ზაზა მოედანზე...

"ატლანტას" 27-ე ნომერმა, **ზაზა ფაჩულიამ** 7 ოქტომბერს სეზონის პირველი საგამოფენო მატჩი ჩაატარა და 17 ქულა ჩააგდო. ზაზას "ჰოქსმა" სადებიუტო მატჩში "ნიუ ორლეანს" უმასპინძლა და დამაჯერებლად დაამარცხა – 108:102.

შეიძლება, გაგიკვირდათ: 6 ქულის სხვაობით მოგება დამაჯერებელი როგორ არისო, მაგრამ რეალურად ასეც იყო – "ატლანტა" მესამე პერიოდის დასრულებამდე წუთით ადრე 19 ქულის სხვაობით იგებდა. მეოთხე რაუნდის მეხუთე წუთისთვის, ფაჩულიას საჯარიმოების შემდეგ მასპინძელთა სასარგებლოდ 101:84 დაფიქსირდა. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო და დარჩენილ 7 წუთში ჯორჯიელებმა თავს მოდუნების, ხოლო "ნიუ ორლეანს" სხვაობის 6 ქულამდე შემცირების უფლება მისცეს.

პირველ პერიოდში "ატლანტას" ალმაფრენა ფაჩულიას მოედანზე გასვლას დაემთხვა: ქართველი ცენტრის თამაშში ჩართვისას ტაბლოზე მასპინძელთა სასარგებლოდ 15:11 ეწერა, ხოლო მეოთხედი "ჰოქსის" 32:24 გამარჯვებით დასრულდა.

ზაზამ მოედანზე ენერგია შეიტანა, პირველ პერიოდში (7 წუთში) 8 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. სხვათა შორის, NBA-ს ოფიციალურ საიტზე არსებულ ვიდეო-მიმოხილვაში ზაზას მხოლოდ ერთი შეტევა მოხვდა, თუმცა იმ ეპიზოდში კომენტატორმა ქართველის მიმართ ქების სიტყვები არ დაიშურა: ფაჩულია მოედანზე შესვლისთანავე დომინირებდა, "ჰოქსს" მნიშვნელოვანი ქულები შესძინაო...

ზაზა მეტად აქტიური რომ იყო, ჯარიმების რაოდენობიდანაც ჩანს – საჯარიმო ხაზთან 11-ჯერ დადგა, თუმცა 7 სროლა გამოიყენა. ორქულიანები უკეთესად ისროლა: 7-დან 5 ჩააგდო.

ქართველ ცენტრს თანაგუნდელთაგან მხოლოდ **ჯეფ ტიგმა** აჯობა – 19 ქულა. შეგახსენებთ, რომ ეს ახალგაზრდა კალათბურთელი "ჰოქსმა" წლევანდელ დრაფტზე აიყვანა.

"ატლანტა" მომდევნო საგამოფენო შეხვედრას დეტროიტში 11 ოქტომბერს ჩაატარებს.

**ატლანტა–ნიუ ორლეანი 108:102**

ზაზა ფაჩულია: 23 წუთი, 17 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 5 ფოლი, 2 შეცდომა

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 06:56 | ზაზამ სმითი შეცვალა |
| 05:45 | ფოლი: 1 |
| 04:04 | ორქულიანი: 2ძ (20:17) |
| 02:58 | საჯარიმოები: 2/1 (3ძ, 21:19) |
| 01:24 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 01:19 | საჯარიმოები: 2/2 (5ძ, 27:20) |
| 01:04 | საჯარიმოები: 2/1 (6ძ, 28:20) |
| 00:36 | ორქულიანი: 8ძ (30:22) |
| 00:36 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 00:34 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 11:43 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 09:47 | ორქულიანი: 10ძ (34:24) |
| 09:32 | ზაზა ბიბიმ შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 07:41 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 06:25 | შეცდომა: 1 |
| 06:09 | დაფარება: 1 (ბარონს დაუფარა) |
| 04:58 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:18 | ორქულიანი: 12ძ (82:64) |
| 02:13 | ფოლი: 2 |
| 01:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:23 | საჯარიმოები: 2/2 (14ძ, 85:66) |
| 00:32 | ფოლი: 3 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 10:11 | პასი: 1 (ჰანტერი 2ძ, 93:75) |
| 09:21 | ფოლი: 4 |
| 09:19 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 08:37 | ორქულიანი: 16ძ (98:79) |
| 07:30 | საჯარიმოები: 2/1 (17ძ, 101:84) |
| 07:11 | ფოლი: 5 |
| 07:11 | შეცდომა: 2 |

## ხვანჭკარა და ინო ზაზასგან

მაშინ, როდესაც ამერიკული გამოცემები **ზაზა ფაჩულიას** 17-ქულიან თამაშზე წერდნენ, გაზეთმა "გლობალ ატლანტამ" ქართული ღვინო დააჭაშნიკა.

ჟურნალისტი **დევიდ ბისლი** ზაზას მისსავე რესტორან "ინოში" ეწვია და თავისი სტატია ასე დაასათაურა: "ფაჩულიას სადებიუტო სეზონი სარესტორნო ბიზნესში".

ვფიქრობთ, ეს პუბლიკაცია ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.

"25 წლის ქართველმა ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ "ატლანტასთან" კონტრაქტი ივლისში გააფორმა. მან ქალაქში დარჩენა რესტორნის შეძენით აღნიშნა – "ინოს" მფლობელი გახდა.

- ატლანტა ჩემი ქალაქია. აქ კიდევ დიდხანს ვაპირებ ცხოვრებას. ამიტომ, როცა საშუალება მომეცა, რესტორანი "ინო" შევიძინე. თუმცა ჩემი მთავარი საქმე მაინც კალათბურთია, მინდა "ჰოქსის" წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო.

ფაჩულია გამოტყდა, რომ "ინოს" ყიდვა სხვა მიზეზმაც გადააწყვეტინა:

- ჭამა ძალიან მიყვარს. NBA-ს მატჩების შემდეგ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა კერძს გეახლებით. ერთ-ერთი დაწესებულება, სადაც სადილობა ძალიან მსიამოვნებდა, "ინო" იყო. ამიტომ, როცა მისი ყიდვის შესაძლებლობა გაჩნდა, დაუფიქრებლად შევიძინე. ბიზნესმენობაზე ნამდვილად არ მიფიქრია, შეიძლებოდა, სხვა საქმით დავინტერესებულიყავი, მაგრამ, ვინაიდან რესტორნის ბიზნესში ჩართვის შანსი გამოჩნდა, უარი არ მითქვამს.

ზაზა ფაჩულია ატლანტელ ქართველებს ბევრ სიახლეს ჰპირდება...

- ნიუ-იორკის შემდეგ ამ ქალაქში ყველაზე მეტი ქართველია. ატლანტაში ქართული რესტორანი არ არის, ამიტომ ჩემს თანამემამულეებს ტრადიციული კერძებით გავახარებთ. ჩამოვიტანეთ ქართული ღვინოები. საქართველო ღვინის ქვეყანაა, ამ დარგში მდიდარი ტრადიციები გვაქვს და გემრიელ ღვინოებსაც ვასხამთ. "ინო" აქამდეც განთქმული იყო ღვინის ასორტიმენტით. ქართული სასმელებით იგი კიდევ უფრო გავამრავალფეროვნეთ. ჩამოვიტანეთ „ხვანჭკარა" და სხვა ძვირფასი ღვინოები...

ზაზას ხელში "ინოს" სერიოზული ცვლილება არ განუცდია, თუმცა, კალათბურთელის თქმით, ნოემბერში ატლანტელები განახლებულ რესტორანს იხილავენ.


...და მოედანს მიღმა

- აგვისტოში საქართველოში ვიყავი და ეროვნულ ნაკრებთან ერთად A დივიზიონში გადასასვლელად ვიბრძოდი. ამერიკაში შუა სექტემბერში დავბრუნდი და რესტორნისთვისაც მოვიცალე. გადაწყვეტილი მაქვს სახელის სანახევროდ შეცვლა, დავარქმევ – "ინო ზაზასგან". ასევე შევიმუშავებთ ახალ ლოგოს. მოკლედ, ატლანტელებს ნოემბერში განახლებული რესტორანი ელით.

ცხადია, ზაზა "ინოში" თანაგუნდელებსაც დაპატიჟებს...

- NBA-ს მატჩების შემდეგ, 22 საათისთვის ბევრი დაწესებულება დაკეტილია. ამიტომ, "ინოს" გვიანობამდე ვამუშავებ, რათა თანაგუნდელებთან ერთად მატჩების შემდეგ შემოვიარო.

სხვათა შორის, სექტემბერში ზაზა ფაჩულიას რესტორანს საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსიც სტუმრობდა..."

ლეგიონერები

საბერძნეთი

## ცინცაძემ ლარისა დაიბრიყვა


ბურთით გიორგი ცინცაძე

საბერძნეთში სეზონი თასის მატჩებით გაიხსნა. ტურნირში მეთექვსმეტედფინალიდან ჩაერთო **გიორგი ცინცაძის** "ტრიკალა", რომელმაც გასვლით შეხვედრაში ლარისას "ოლიმპია" "დაიბრიყვა" – 82:57.

მატჩის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ სტუმრებმა მატჩი აგრესიულად დაიწყეს და პირველივე პერიოდი 22:12 მოიგეს. "ამის შემდეგ გიორგი ცინცაძის წინამძღოლობით "ტრიკალამ" მიღწეული უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და საბოლოოდ 25 ქულის სხვაობით გაიმარჯვა."

გიორგი ცინცაძის პასების რაოდენობას ვერსად მივაკვლიეთ. ქართველი გამთამაშებლის გვერდით მხოლოდ ერთი ორნიშნა რიცხვი ეწერა – 10 ქულა. გიორგიზე ორჯერ მეტი, 20 ქულა ჩააგდო მისმა თანაგუნდელმა **აბრამსმა**. ამ მაჩვენებლით იგი მატჩის ბომბარდირი გახდა.

თასის გათამაშების ამ ეტაპზე თითო შეხვედრა იმართება. ამიტომ "ოლიმპიასთან" ერთი მოგება "ტრიკალას" მერვედფინალში გასასვლელად საკმარისი აღმოჩნდა.

მერვედფინალის მატჩს ტრიკალელები 11 ოქტომბერს გამართავენ, "კოლოსს" და "იკარს" შორის გამარჯვებულს შეხვდებიან.

ბოლონიის "ვირტუსის" ქართველმა ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** კრემონას "ვანოლისთან" მატჩში 15 ქულა ჩააგდო და ბომბარდირობა დაიბრუნა. გეხსომებათ, რომ მან ახლახან, "მილანთან" 13 ქულა მიითვალა (საუკეთესო მაჩვენებელი "ვირტუსში"), შემდეგ სუპერთასზე "მონტეპასკისთან" 2 ქულას დასჯერდა. ვიქტორმა მთავარ მწვრთნელ **ლარდო ლინოს** სწორედ "ვანოლისთან" სნაიპერობით უჩვენა, რომ სიენასთან მატჩში ჩავარდნა შემთხვევითი იყო.

სანიკიძეზე ერთით ნაკლები ქულა ჩააგდეს ამერიკელმა **ლეროი ჰარდმა** და ფინელმა **პეტრი კოპონენმა**, ხოლო ესპანელმა ცენტრმა **დიეგო ფახარდომ** 13 ქულას მოუყარა თავი.

გუნდური თამაშის წყალობით ბოლონიელებმა კრემონელები 94:86 დაამარცხეს, თუმცა მესამე პერიოდში 15 ქულის სხვაობითაც დაწინაურდნენ: სანიკიძის ორქულიანის შემდეგ ტაბლოზე 60:45 აენთო.

"ვირტუსი" კვირას, 11 ოქტომბერს იტალიის ჩემპიონატის პირველ მატჩში "მონტეგრანეროს" უმასპინძლებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

იტალია

## სანიკიძემ სნაიპერის შაშხანა დაიბრუნა


უტევს ვიქტორ სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაგბი

ინტერვიუ რიჩი დიქსონთან



რიჩი დიქსონი

# შოტლანდიელი ქართული რაგბის სამსახურში

**საქართველოს რაგბის კავშირს კონსულტანტი ჰყავს. ქართული რაგბის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა მაღალი დონის უცხოელი სპეციალისტი ქართველებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში რაგბის განვითარებაზე იზრუნებს. რიჩი დიქსონი 1991-95 წლებში შოტლანდიის ნაკრების შერკინების მწვრთნელი იყო. 1995-99 წლებში კი უკვე სკოტების ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლდათ. ამის შემდეგ შოტლანდიელი მოზარდებისთვის სპეციალური სარაგბო პროგრამებზე მუშაობდა. IRB-ის ეგიდით მონაწილეობდა რანდენიმე საერთაშორისო პროექტში.**

**ამჟამად რიჩი დიქსონი ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელების ჯგუფთან მუშაობს.**

**- რა მიზანს ემსახურება თქვენი ამჟამინდელი ვიზიტი საქართველოში?**

- საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ორჯერ ითამაშა მსოფლიო თასზე. მეორედ, საფრანგეთში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. რაგბის კავშირის პრეზიდენტთან გიორგი ნიჟარაძესთან შეხვედრის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს უნდა, დიდი სარაგბო ქვეყანა გახდეს, წინ წავიდეს, განვითარდეს.

რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს აინტერესებთ ობიექტური შეფასება, რა მდგომარეობაშია რაგბი საქართველოში, როგორია მწვრთნელების, მოთამაშეებისა და მსაჯების მომზადების დონე. რაც ვნახე, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგი სამუშაოა ჩატარებული ყველას მიერ, ვინც კი ქართულ რაგბიში საქმიანობს. ახლა ჩვენი მიზანია, ეს ყოველივე გავაუმჯობესოთ.

**- როგორია თქვენი მუშაობის სპეციფიკა, ანუ, კონკრეტულად რა სახის კვლევას ატარებთ?**

- ამჟამად განვიხილავთ საერთო ვითარებას. ვეძებთ, რა არის გამოსასწორებელი და როგორ გავაკეთოთ ეს. სპეციალურ ჯგუფთან თეორიული მუშაობის გარდა დავესწარი საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის შეხვედრებს, ჭაბუკთა A და B ლიგების თამაშებს, ბავშვთა სარაგბო ფესტივალს. ეს დამეხმარა გამეგო, რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს ქართულ რაგბიში.

დავინახე, რომ საქართველოს აქვს დიდი სარაგბო პოტენციალი. ქართული რაგბის მომავალი შეიძლება იყოს ძალიან კარგი, მაგრამ ვფიქრობ, არსებობს რამდენიმე დეტალი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. მომავალი ორი თვის განმავლობაში დავდებთ არსებული მდგომარეობის საერთო ანალიზს. ამის შემდეგ კი შევადგენთ განვითარების გეგმას და დავიწყებთ მის განხორციელებას. გარწმუნებთ, ეს გეგმა მოერგება ქართულ სინამდვილეს. ის არ იქნება გადმოწერილი შაბლონური პროექტი. მასში დეტალურად იქნება გათვალისწინებული ქართული სპეციფიკა.

**- რა როლი ეკისრება ამ საქმეში მწვრთნელთა იმ ჯგუფს, რომელთანაც თქვენ მუშაობთ?**

- ჯგუფის დანიშნულებაა, განიხილოს და ეძებოს ქართულ რაგბიში არსებული პრობლემები. დასახოს გეგმა, რა მეთოდებით შეიცვალოს, გამოსწორდეს მდგომარეობა.

**- საკმაოდ შრომატევად, რთულ საქმეს შეჭიდებიხართ. რატომ გააკეთა არჩევანი თქვენზე საქართველოს რაგბის კავშირმა ან თქვენ რატომ დათანხმდით კონსულტანტობას?**

- ივლისში ერთი კვირა ვიყავი თბილისში. სემინარი გავმართე. მაშინ გიორგი ნიჟარაძესთან და განვითარების მენეჯერ გია ჭუმბურიძესთან საკმაოდ გულახდილ, ემოციურ საუბარში დაიბადა ეს იდეა. მათ მთხოვეს, დახმარება გამეწია. მეც ძველი მორაგბე ვარ და პირველი, რაც გავიფიქრე, იყო - რატომაც არა?! მოდი, ვიმუშავებ ამ ხალხთან, დავეხმარები.

თანაც, ქართველებს და შოტლანდიელებს ბევრი საერთო გვაქვს. ორივე პატარა ერი ვართ და ორივეს გვიყვარს ჩვენზე „დიდ ბიჭებთან“ ჭიდილი. არაერთი პრობლემა ორივეს საერთო გვაქვს. მე უკვე მაქვს შოტლანდიაში მსგავსი საქმიანობის გამოცდილება, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამჯერად წმინდა ქართულ პროექტზე ვმუშაობთ. ეს იქნება სრულიად ახალი, ყველასგან განსხვავებული გეგმა. ჩვენთვის ეს სერიოზული გამოწვევაა.

**- რა დროზეა გათვლილი თქვენი თანამშრომლობა საქართველოს რაგბის კავშირთან?**

- ამ ეტაპზე ასე ვართ მოლაპარაკებული - საქართველოში სამჯერ უნდა ჩამოვიდე სამ-სამკვირიანი ვიზიტით. ვფიქრობ, ამის შემდეგაც საკეთებელი კიდევ ბევრი მექნება საქართველოში. რამდენ ხანს გასტანს ჩემი საქმიანობა თქვენს ქვეყანაში, ვერ გეტყვით. ეს საქართველოს რაგბის კავშირის გადასაწყვეტია.

**- ცხადია, საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაში გინახავთ. რა აზრის ბრძანდებით მასზე?**

- თქვენი ნაკრები მომწონს, მაგრამ საერთაშორისო დონის, მაღალი კლასის მოთამაშე ცოტა გყავთ. ვინც არიან, ისინიც საქართველოში არ თამაშობენ. ასეთი კონტინგენტით კი მსოფლიო რაგბის წამყვან ქვეყნებთან კონკურენცია გაგიჭირდებათ.

იმისთვის, რომ ბობოლა სარაგბო ქვეყნებს ტოლსწორად ეთამაშოთ, საჭიროა მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების განვითარება. უნდა შევძლოთ აღვზარდოთ რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო დონის მორაგბე, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო დონის კლუბებში ითამაშებენ.

ამის მისაღწევად კი უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ახალგაზრდული ასაკის ნაკრებებთან, რაც მომავლის კარგი საფუძველია. ჩვენი პროგრამა, ცხადია, ყველა მორაგბეს ვერ ჩამოაყალიბებს საერთაშორისო დონის მოთამაშედ, მაგრამ ვეცდებით, მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ ყველა ასაკში თამაშისას, რათა გავაძლიეროთ ქართული რაგბის ოჯახის ზრდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# სამაიამ მონტე კარლოს აჯობა

მაკედონიურ ოჰრიდში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. გუშინდელ მე-5 ტურში თბილისის „სამაიამ“ კვლავ გაგვახარა: რუსულ გუნდებთან ზედიზედ ორი ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ ჩვენი მანდილოსნები ევროპის ორგზის ჩემპიონ „მონტე კარლოს“ (მონაკო) დაუპირისპირდნენ. ყველაზე სწრაფად პირველ დაფაზე ინდოელი **ჰამფი კონერუსა** და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **მაია ჩიბურდანიძის** პარტია დამთავრდა. მეტოქეები მე-14 სვლაზე დაზავდნენ. ათი სვლით მეტი დასჭირდათ ქულის გასაყოფად ევროპის ჩემპიონ **პია კრამლინგსა** და **მაია ლომინეიშვილს**. 33-ე სვლაზე **სოფიკო ხუხაშვილი** და **მონიკა სოცკოც** რომ მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, ვიფიქრე, წინა ორი ტურის სურათი ინერციით გრძელდება-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, შევცდი, რადგან **ლელა ჯავახიშვილმა** თეთრი ფიგურებით უშელავათო ბრძოლა გაუმართა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს**. ქართველმა დიდოსტატმა ჯერ კიდევ დებიუტში ჩააგდო მეტოქე “უხერხულ” მდგომარეობაში. 30-ე კუ a4 სვლით კი რუსმა მოჭადრაკემ თავად დაუშვა შეცდომა და მალევე ორი მსუბუქი ფიგურა დაკარგა. მართალია, სანაცვლოდ ეტლი შეირგო, მაგრამ მისი პოზიცია ამით არ გაუმჯობესებულა: პირიქით – ლელამ შავების ჯერ სამი პაიკი გააქრო დაფიდან, შემდეგ კი ზუსტი თამაშით აიძულა კოსტენიუკი, დანებებულიყო.



ლელა ჯავახიშვილი

„სამაიამ“ საბოლოოდ 2,5:1,5 გაიმარჯვა და 8 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა — ამდენივე გუნდური ქულა აქვს ვიდნოეს „სპარტაკს“, რომელმაც გუშინ „პოლონია“ დაჯაბნა 3,5:0,5. პირველ დაფაზე **ივეტა რაილიჩი** და ორგზის ევროპის ჩემპიონი **ტატიანა კოსინცევა** ყაიმზე შეთანხმდნენ, სამაგიეროდ, მისმა დამ **ნადეჟდამ** და ევროპის ჩემპიონებმა — **კატერინა ლაჰნომ** და **ანტუანეტა სტეფანოვამ** პოლონელთა გუნდს ცივი შხაპი გადაავლეს. სპარტაკელები “სამაიას”კლუბის წევრთა მიერ მოპოვებული ქულათა ჯამით უსწრებენ.

კოსტენიუკი



ჯავახიშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 54. ეd6+ | მფc3 | 60. g4 | მფe1 |
| 55. მf1 | ეh8 | 61. g5 | მფ f1 |
| 56. მe3 | ეh4 | 62. g6 | ეa3+ |
| 57. მg4 | ეa5 | 63 მფ g4 | მფxf2 |
| 58. ეh6 | ეxh6 | 64. მფ g5 | |
| 59. მxh6 | მფd2 | | |

შავები დანებდნენ

მეხუთე ტურის შედეგები

| | |
|---|---|
| **მონტე კარლო (მონ.)–სამაია (საქ.)** | **1.5:2.5** |
| ჰამფი კონერუ-მაია ჩიბურდანიძე | 0,5:0,5 |
| ალექსანდრა კოსტენიუკი-ლელა ჯავახიშვილი | 0:1 |
| პია კრამლინგი-მაია ლომინეიშვილი | 0,5:0,5 |
| მონიკა სოცკო-სოფიკო ხუხაშვილი | 0,5:0,5 |
| **პოლონია (პოლ.)–სპარტაკი (რუს.)** | **0.5:3.5** |
| ივეტა რაილიჩი-ტატიანა კოსინცევა | 0,5:0,5 |
| იოლანტა ზავადსკა-ანტუანეტა სტეფანოვა | 0:1 |
| კარინა პოროვსკა-ნადეჟდა კოსინცევა | 0:1 |
| მონიკა კრუპა-კატერინა ლაჰნო | 0:1 |
| **ეკონომისტი (რუს.)–პოდგორ. (ჩერნ.)** | **1.5:2.5** |
| ანა მუზიჩუკი-ჰოანგ თრანგი | 1:0 |
| ოლგა ილიუშინა-ვიქტორია ჩმილიტე | 0:1 |
| ანა უშენინა-ალისა მარიჩი | 0,5:0,5 |
| ელიზაბეტ პეტცი-ეკატერინა კოვალევსკაია | 0:1 |
| **ბას (სერბეთი)–მიკა (სომხეთი)** | **0.5:3.5** |
| ინა გაპონენკო-ელინა დანიელიანი | 0:1 |
| ტატიანა ვასილევიჩი-ჰარიკა დრონავალი | 0:1 |
| ანჟელიკა სტოიანოვიჩი-ნინო ხურციძე | 0,5:0,5 |
| ლილია დრლიევიჩი-ლილით გალოიანი | 0:1 |
| **ვანდეუ ეში (საფ.)–რადნიკი (სერ.)** | **1.5:2.5** |
| ანა რუდოლფი-ირინა ჩელუშკინა | 1:0 |
| ფიონა სთეილ-ანტონი-ქრისტინა ფოიშორი | 0:1 |
| ვენკე პენრიხი-სვეტლანა პეტრენკო | 0,5:0,5 |
| მარი ვეიგელი-ანა ბენდერასი | 0:1 |

ხუთდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სპარტაკი-8 (14,5), სამაია-8 (12), პოდგორიცა-7 (12,5), მონტე კარლო-6 (13,5), ეკონომისტი-5 (10), პოლონია-5 (9), პოლიტექნიკა-5 (9), მიკა-5 (9), რადნიკი-5 (7,5), ბას-4 (8,5), ვანდეუვ ეში-2 (4,5).

მე-6 ტურში ითამაშებენ: სპარტაკი-პოდგორიცა, სამაია-რადნიკი, მიკა-მონტე კარლო, პოლიტექნიკა-ბას, ვანდეუვ ეში-ეკონომისტი. ისვენებს პოლონია.

**ვაჟა დანელია**

# გამარჯვებულს ბოლო ტური გამოავლენს



სიუ იუჰუა

ჩინურ ნანცზინში დღეს დამთავრდება ფიდეს გრან-პრის გათამაშება ქალთა შორის. გუშინ ბოლოსწინა ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა **სიუ იუჰუამ** (ჩინეთი), რომელმაც თეთრი ფიგურებით **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი) დაამარცხა, მოაგროვა 7,5 ქულა და ახლა ერთპიროვნულად მეწინავეობს. ცხრილის სათავეში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო **ნანა ძაგნიძემ**. ქართველი დიდოსტატი გუშინ **ბაჰუიანგ მონგონთუულს** დაუზავდა. 7 ქულით იგი მეორე ადგილზეა და ტურნირზე გამარჯვების შანსს ინარჩუნებს. დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **ჟაო სიუ** (ჩინეთი)-**მარი სებაგი** (საფრანგეთი) 1:0, **შენ იანი** (ჩინეთი)-**ჟუ ჩენი** (ყატარი) 1:0, **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი)-**ბეთულ ილდიზი** (თურქეთი) 1:0, **მარტა ფიერო** (ეკვადორი)-**ცზიუ ვენცზიუნი** (ჩინეთი) 0:1.

10 ტურის შემდეგ მე-3 ადგილზეა ჟაო სიუ — 6,5. მომდევნო ადგილებზე მოდიან: სებაგი, მკრტიჩიანი — 6-6, შენ იანი, მონგონთუული, ვენცზიუნი — 5,5-5,5, კოვანოვა — 4,5, ჟუ ჩენი — 4, ფიერო — 2, ილდიზი — 0 ქულა.

ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ძაგნიძე-ჟაო სიუ, ვენცზიუნი-მონგონთუული, ილდიზი-ფიერო, ჟუ ჩენი-მკრტიჩიანი, კოვანოვაშენ იანი, სებაგი-სიუ იუჰუა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი




# ანამ ტიტული უნდა დაიცვას

**ანა ტატიშვილი** (191) ტროას საერთაშორისო ტურნირის (აშშ, 50 ათასი $) შარშანდელი გამარჯვებულია, ასე რომ, მე-5 ნომრად განთესილ ქართველს ტიტულის დაცვა უწევს. ანა მერვედფინალშია გასული. გაირკვა მისი მომავალი მეტოქე - ამერიკელი **ელისონ რისკე** (319). ანამ წყვილთა თანრიგშიც გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა, სადაც რუს **რეგინა კულიკოვასთან** (154) ერთად ამერიკელები, **ლაურა გრენვილი** (332) და **აშა როლი** (353) დაამარცხა - 7:5, 7:5. ანას და რეგინას ახლა პირველ ნომრად განთესილ დუეტთან ელის მატჩი - მეოთხედფინალში ისინი რუმინელ **ედინა გალოვიცს** (93) და არგენტინელ **ხორხელინა კრავეროს** (229) დაუპირისპირდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჩახნაშვილმა კალაშნიკოვას მხარი ვერ აუბა



საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟში ქალთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. მასში ორი განთესილი ჩოგბურთელი ქართველი იყო - მე-3 ნომრად 19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (185) თამაშობდა, ხოლო მე-6 ნომრად 26 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (213). გუშინ ლიმოჟში მერვედფინალური მატჩები გაიმართა. ჩვენებურთაგან პირველი კორტზე ოქსანა კალაშნიკოვა გავიდა, რომლის მეტოქე ბერძენი **ეირინი გეორგატუ** (280) იყო. სამსეტიანი ორთაბრძოლა საქართველოს პირველი ჩოგნის გამარჯვებით დასრულდა, ოქსანამ 7:6 (5), 3:6, 6:2 მოიგო. კალაშნიკოვა მეოთხედფინალში გავიდა და თანამემამულის მატჩს დაესწრო - მაკა საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ **ანაის ლორდენს** (საფრანგეთი, 308) ხვდებოდა, გამარჯვებული კი ოქსანას მეტოქე ხდებოდა. დიდი იმედით ველოდით ქართულ მეოთხედფინალს ლიმოჟში, მაგრამ მაკამ ძალზე ცუდად დაიწყო თამაში, შემდეგ კი თამაშის გადარჩენა ველარ შეძლო - 0:6, 6:3, 6:7 (3). ასე რომ, დღეს ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე ანაის ლორდენი იქნება. ჩახნაშვილმა 8 სარეიტინგო ქულა იკმარა, ხოლო კალაშნიკოვამ, სულ მცირე, 14 ქულა გაინაღდა.

ოქსანა კიდევ უფრო შორსაა გასული წყვილთა ბადეში, ის რუს **ელენა ჩალოვასთან** (175) ერთად პირველ ნომრად განთესეს. ქართულ-რუსული დუეტი ფინალშია, სადაც მათი მეტოქეები მე-2 ნომრად განთესილი მასპინძლები, **ფლორენს ჰარინგი** (427) და **ვიოლეტ ჰუკი** (290) არიან. ნახევარფინალში მათ ასევე ფრანგებს აჯობეს - მე-3 ნომრად განთესილებს, **კლერ ფორესტეინს** (215) და **ესტრელ გისარს** (271) - 6:1, 7:6 (5).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტი ყველასათვის

# გლდანში, მამულოს პრიზისთვის

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის", სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის ინიციატივით, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელის **მამულო ანთიძის** სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში სამინისტროებისა და უწყებების გუნდები მონაწილეობდნენ.

თბილისის მერიის ფეხბურთელებმა ფინალში რკინიგზელებს სძლიეს და მთავარი პრიზი დაიმსახურეს. მესამე ადგილზე ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების გუნდები გავიდნენ. ასპარეზობის გამარჯვებული და პრიზიორები 12 დეკემბრიდან კახი ასათიანის ხსოვნის ტურნირში ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ჩოგბურთელი

**გივი კოკაია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სპორტული მედიცინა

# მუდამ სპორტის სამსახურში

**თანამედროვე სპორტის შემდგომი განვითარება დიდადაა დამოკიდებული სპორტსმენთა ხარისხიან სამედიცინო უზრუნველყოფაზეც, აქ კი მედიცინის დარგებიდან წამყვანი როლი სპორტულ მედიცინას ენიჭება. გვესაუბრება დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, პროფესორი რომანოზ სვანიშვილი.**



**- ბატონო რომანოზ, საუბარი სპორტული მედიცინის სპეციფიკურობით დავიწყოთ. რა იგულისხმება ამ ტერმინში?**

- ბევრი კლინიკური სპეციალობისგან განსხვავებით, სპორტული მედიცინის ექიმმა სამედიცინო შემოწმების (საექიმო კონტროლის) დროს აუცილებლად უნდა შეისწავლოს (გამოიკვლიოს) სპორტსმენის ჯანმრთელობა, ანუ ფიზიოლოგიურ ორგანოთა სისტემების ფუნქციონირება, ფიზიკური განვითარება და კუნთური მუშაობის მიმართ ორგანიზმის შეგუების (ადაპტაციის) უნარი – ფიზიკური მუშაობისუნარიანობა. სპორტსმენი ბავშვობის ასაკიდან სპორტული საქმიანობის მთელ პერიოდში უნდა გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას სპორტული მედიცინის ცენტრებში.

**- როგორია მწვრთნელის როლი ამ შემთხვევაში?**

- სპორტსმენების სამედიცინო შემოწმებისას ექიმმა და მწვრთნელმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სპორტსმენი არ არის ავადმყოფი (თუ თავს არ იჩენს რაიმე დაავადება ან ტრავმა), ის ჯანმრთელი სუბიექტია და აუცილებლად უნდა იყოს ჩართული გამოკვლევების პროცესში. სინჯები მისადაგებულია სპორტსმენის დატვირთვასთან და ეფექტიანია, როდესაც ათლეტი განწყობილია მის ჩასატარებლად. ამ პროცესში, რომელიც კომპლექსურია, ექიმის და მწვრთნელის თანამშრომლობა აუცილებელი და ძალზე მნიშვნელოვანია.

> ...კვალიფიციური სპორტსმენები წლის განმავლობაში კომპლექსურ საექიმო შემოწმებას გადიოდნენ წელიწადში ოთხჯერ...

თანამედროვე სპორტში ინტენსიური და ხანგრძლივი წვრთნისა და სპორტულ შეჯიბრებებში სპორტსმენთა მონაწილეობის პროცესში სრულიად მოულოდნელად შესაძლებელია, გავარჯიშების საუკეთესო მდგომარეობაში ("სპორტულ ფორმაში") მყოფი სპორტსმენი აღმოჩნდეს გადაღლის, გადაწვრთნის ან სხვა რომელიმე პათოლოგიურ სტატუსში, რასაც ერთნაირად უნდა ითვალისწინებდნენ როგორც მწვრთნელები, ისე ექიმები სპორტსმენებთან მუშაობისას.

**- ადრე არსებობდა სპორტსმენის საექიმო ბარათი, ანუ სპორტსმენის ჯანმრთელობის ისტორია, რომლის მიხედვითაც წარმოებდა დინამიკაში, წლების განმავლობაში მათი კომპლექსური სამედიცინო შემოწმება...**

- სპორტული მედიცინის ცენტრები და ზოგიერთი პოლიკლინიკა სხვადასხვა ისტორიით დღესაც ახორციელებენ სპორტსმენთა საექიმო გამოკვლევას, მაგრამ საჭიროება მოითხოვს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ შეიმუშაოს სპორტსმენთა ერთიანი საექიმო ბარათი ყველა ძირითადი და დამხმარე გამოკვლევის გრაფების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შედეგების მეცნიერულ დონეზე დამუშავებაში.

**- ამჟამად როგორია გამოკვლევების ინტენსიობა?**

- სამწუხაროდ, დღეს საქართველოში სპორტსმენთა დიდი ნაწილი ძირითადად გადის სამედიცინო შემოწმებას (საექიმო კონტროლს) ერთხელ ან უკეთეს შემთხვევაში - ორჯერ. თუმცა ბევრია ისეთიც, ვინც სპორტში თვეობით ვარჯიშობს, მაგრამ საერთოდ არ მიდის ექიმთან შემოწმებაზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კვალიფიციური სპორტსმენები წლის განმავლობაში კომპლექსურ საექიმო შემოწმებას გადიოდნენ წელიწადში ოთხჯერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო სპორტსმენმა უნდა მიაკითხოს ექიმს სპეციალური გამოკვლევის ან ტესტირების ჩატარების მიზნით მისი ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის დასაზუსტებლად.

**- გვაქვს კი საქართველოში მრავალპროფილიანი სპორტული მედიცინის ცენტრი?**

- ასეთი ცენტრის შექმნა სტაციონარით საქართველოში სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია. ის ერთდროულად იქნება როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერულ-მეთოდური ცენტრი, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტთან ერთად ხელმძღვანელობას გაუწევს ქვეყანაში სპორტის ექიმების, ფიზიკური მედიცინის სპეციალისტ-რეაბილიტოლოგების, სპორტული მასაჟისტებისა და სპორტში მომუშავე ზოგიერთი სხვა მუშაკის მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

**- დავუბრუნდეთ მწვრთნელისა და ექიმის თანამშრომლობას. საექიმო-პედაგოგიურ დაკვირვებაზე რას იტყვით?**

- ამ პროცესში სპორტის ექიმების, სპორტის ფიზიოლოგებისა და მწვრთნელების მიერ წარმოებს ფუნქციური (ფიზიოლოგიური) გამოკვლევები (დაკვირვებები) უშუალოდ სპორტსმენებზე, სახეობისთვის დამახასიათებელი მუშაობის შესრულების დროს. გამოკვლევებით შესაძლებელია დადგინდეს, როგორი რეაქციით პასუხობს სპორტსმენი სპეციფიკურ ფიზიკურ დატვირთვას მაქსიმალურად მაღალი დონის კუნთური მუშაობისას. სხვანაირად რომ ვთქვათ, დგინდება როგორი ადაპტაციის უნარი აქვს სპორტსმენის ორგანიზმს იმ ფსიქო-ფიზიკური დატვირთვების მიმართ, რითაც ხასიათდება სპორტის ესა თუ ის სახეობა.

მწვრთნელის ხელოვნება სწორედ იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ ექიმთან ერთად წინასწარ განსაზღვროს თითოეული სპორტსმენის ყველა შესაძლებლობა, რომელთა შესაბამისად უნდა წარმართავდეს როგორც წვრთნის პროცესის რეგულირებას, ისე შეჯიბრებებში სპორტსმენთა დროულად დასვენებასა და მათ შეცვლას. სადღეისოდ საქართველოში საექიმო-პედაგოგიური დაკვირვებები სპორტსმენებზე ძირითადად არ ტარდება.

**- ზემოთ კომპლექსური შემოწმება ახსენეთ. კიდევ რას გულისხმობთ?**

- სპორტსმენთა კვებისა და დასვენების რეჟიმის მეცნიერულ შესწავლას. საგულისხმოა დაკვირვებების გაგრძელება სპორტსმენის დასვენებასა და ფიზიკური დატვირთვების შემდეგ, მის ორგანიზმში მიმდინარე აღდგენითი, რეაბილიტაციური პროცესების დინამიკაზე. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია კუნთური მუშაობის შემდეგ ორგანიზმში მიმდინარე რთული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების რეაბილიტაცია, ფსიქოლოგიური მომზადება, რაც სპორტსმენს ძირითადად მწვრთნელმა და გუნდის ექიმმა უნდა გადაუწყვიტონ.

სპორტსმენთა კომპლექსურ სამედიცინო შემოწმებას დინამიკაში (სპორტული სეზონის მთელ პერიოდში) უნდა ატარებდნენ სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრები, რომელთა მისამართები კარგად იციან სპორტულმა ორგანიზაციებმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი



# ვარსკვლავთცვენა ბრისბენში

2010 წლის საჩოგბურთო სეზონის პირველი ტურნირი ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში გაიმართება და იქ ვარსკვლავური შემადგენლობა აპირებს ჩასვლას. სწორედ ამ ტურნირზეა დაგეგმილი დიდ სპორტში ბელგიელი ჩოგბურთელის **ჟუსტინ ანენის** დაბრუნება, რომელმაც გუშინ დაადასტურა, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას „დიდი სლემის" პირველ ტურნირზე - ავსტრალიის ღია პირველობაზე.

ანენის მწვრთნელმა **კარლოს როდრიგესმა** ბელგიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან უკვე გამართა მოლაპარაკებები ბრისბენისა და ოკლენდის (ახალი ზელანდია) ტურნირების ორგანიზატორებთან და სავარაუდოდ, ამ ორიდან უპირატესობას ბრისბენს მიანიჭებს.

ამ შემთხვევაში ავსტრალიური ტურნირის ხელმძღვანელობა მაშინვე გამოუყოფს ანენს უაილდ-ქარდს, რადგან ბრისბენში მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნის, ორი ბელგიელის - **კიმ კლაისტერსისა** (ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონმა უკვე კარგა ხანია დაადასტურა ბრისბენში ჩასვლა) და ჟუსტინ ანენის გამოჩენა შეჯიბრების პრესტიჟს ერთი ათად აამაღლებს.

*„ანენისა და კლაისტერსის მონაწილეობა დიდი ფუფუნება იქნება ჩვენთვის. ორი საჩოგბურთო დედოფლის ერთ ტურნირზე ხილვა - ეს ფანტასტიკაა!"* - ამბობს Brisbane International-ის დირექტორი **სტივ ეილესი**.

ბრისბენის ტურნირი გაისად მხოლოდ ორი ბელგიელით არ მოიწონებს თავს. აქვე აპირებს ახალი სეზონის დაწყებას სერბი **ანა ივანოვიჩი**. კიდევ ერთმა ყოფილმა პირველმა ჩოგანმა უკვე აცნობა ორგანიზატორებს თავისი გეგმების შესახებ.

*„მოუთმენლად ველი ბრისბენში ჩასვლას. მიყვარს ამ ქალაქში და საერთოდ ავსტრალიურ ტურნირებში თამაში. მელბურნში ჩემი ნათესავები ცხოვრობენ და მათთან შეხვედრას ყოველთვის დიდი სიხარულით ველოდები. ასე რომ, სეზონის ავსტრალიური ნაწილი ჩემთვის ყველაზე საყვარელია"*, - ამბობს ანა ივანოვიჩი, რომელმაც წელსაც ითამაშა ბრისბენში და იქ მეოთხედფინალში ფრანგ **ამელი მორესმოსთან** წააგო.

2010 წელს ბრისბენის ტურნირი 3-10 იანვარს გაიმართება.

# შანხაიში მიურეიც არ ჩავა

მსოფლიოს პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** შემდეგ შანხაის მასტერსზე თამაში იუარა რეიტინგის მესამე ნომერმა **ენდი მიურეიმ**. ტურნირის ორგანიზატორთა ინფორმაციით, 22 წლის ბრიტანელი კვლავინდებურად მარცხენა მაჯის ტრავმას უჩივის. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ დაზიანების გამო თქვა უარი მიურეიმ მიმდინარე კვირას ტოკიოს ტურნირში თამაშზე.

*„ბოდიში მინდა მოვუხადო ორგანიზატორებს იმ პრობლემებისთვის, რომელიც ჩემი უარის გამო წარმოიშვა. მაგრამ სხვა გზა არ იყო - ამ ტრავმის გამო სრულფასოვან გამოსვლას ვერ შევძლებდი. ასეთი დონის ტურნირის გამოტოვება ჩემს წესებში არ შედის, მაგრამ ექიმებისგან თამაში აკრძალული მაქვს"*, - წერია ბრიტანელის ოფიციალურ წერილში.

ადრე ვწერდით იმის შესახებ, რომ შანხაის მასტერსს გამოაკლდა **როჯერ ფედერერი**. შვეიცარიელმა მიზეზად დაღლილობა მოიყვანა.

Shanghai ATP Masters 12 ოქტომბერს დაიწყება. მისი საპრიზო ფონდი 5 250 000 დოლარს შეადგენს.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**



# ნადალი ფორმაში შევიდა

პეკინში მიმდინარე ტურნირზე მეორე მატჩი მოიგო მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა**. ესპანელს კვლავ სამი სეტის ჩატარება დასჭირდა ძირითად ბადეში მორიგი ნაბიჯის გადასადგმელად.

კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისის** დამარცხების შემდეგ, მერვედფინალში ნადალის მეტოქე ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი** იყო, რომელიც კარიერაში მისთვის ყველაზე უარეს სეზონს ატარებს და ამის გამო რეტინგში 24-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. სხვათა შორის, ბლეიკი ერთ-ერთი იშვიათი ჩოგბურთელთაგანია, რომელთანაც ნადალს უარყოფითი ბალანსი ჰქონდა. ამ მატჩამდე რაფა ურთიერთშეხვედრებში მინიმალური სხვაობით (2:3) აგებდა ამერიკელთან, მაგრამ ახლა ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

რაფამ კარგად დაიწყო შეხვედრა და სასტარტო სეტის პირველივე გეიმში ბრეიკი გააკეთა. მაგრამ მეოთხე გეიმში იგივე მოახერხა ბლეიკმა და ანგარიში გაათანაბრა - 2:2. თანაფარდობა მე-11 გეიმამდე შენარჩუნდა, შემდეგ კი ნადალმა მეორე ბრეიკი მიითვალა და დაწინაურდა - 6:5. ბოლო გეიმში ესპანელმა ორი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და საბოლოო წერტილი დაუსვა პარტიას.

ესპანელი ვალდებული იყო ორ სეტში დაესრულებინა შეხვედრა. მან მეორე პარტიის მეხუთე გეიმში აიღო მეტოქის მოწოდება და დაწინაურდა - 3:2. და როცა ყველას ეგონა, რომ რაფას გამარჯვება ჯიბეში ედო, ბლეიკმა მოულოდნელად ინიციატივა იგდო ხელთ. 5:4-ზე ნადალი მატჩზე აწვდიდა და ორმაგი მატჩ-პოინტიც ჰქონდა, თუმცა იმდენი მოახერხა, რომ მეტოქეს ზედიზედ ოთხი ქულა აალებინა და ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა - 5:5. გაბრაზებულმა ნადალმა მომდევნო გეიმში მორიგი ბრეიკი გააკეთა - 6:5 და ისევ მატჩზე მოწოდებისას საკუთარი გეიმი დათმო - 6:6. ნადალი ფსიქოლოგიურად მოიშალა. ტაი-ბრეიკზე მან საწყისი ხუთა ქულა დათმო და პარტიის გადარჩენა ველარ მოახერხა.

მესამე სეტში გადამწყვეტი კინალამ მეხუთე გეიმი გახდა - ბლეიკს ნადალის მოწოდებაზე ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. ესპანელმა საფრთხე მოიგერია, შემდეგ კი თავისი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და ანალოგიურ სიტუაციაში ბრეიკ-პოინტი გამოიყენა - 5:3. ამის შემდეგ ნადალმა იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. დღეს მეოთხედფინალში მას რუსი **მარატ საფინი** დაუპირისპირდება, რომელმაც მოულოდნელად ტურნირის მეშვიდე ნომერი, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** დაამარცხა.

*„ძალიან კარგი მატჩი ჩავატარე, ყველაფერი ჩემი კონტროლის ქვეშ იყო. შევძელი რამდენიმე მნიშვნელოვანი გათამაშების მოგება და როგორც კი შანსი გამიჩნდა, გამარჯვება მოვიპოვე*, - განაცხადა ნადალმა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე. - *ვფიქრობ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნებულმა, საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე, რაც მომავალში ოპტიმიზმის საფუძველს მომცემს"*.

რაც შეეხება ნადალისა და საფინის დაპირისპირებას, ეს ჩოგბურთელები აქამდე ერთადერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს: 2007 წელს ტორონტოს მასტერსზე ესპანელმა ორ სეტში - 7:6, 6:0 გაიმარჯვა.



# ვალენსია ან ბარსელონა

ესპანეთისა და ჩეხეთის ნაკრებებს შორის დევისის თასის ფინალის მასპინძლობაზე კანდიდატი ქალაქების რიცხვი ოთხიდან ორამდე შემცირდა. ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ უარყო ტენერიფესა და მალაგის კანდიდატურები და არჩევანს ბარსელონასა და ვალენსიას შორის გააკეთებს.

ფედერაციამ ტენერიფე იმის გამო დაიწუნა, რომ იქ გადახურული კორტები არ არსებობს, მალაგაში საჩოგბურთო სტადიონი კი მხოლოდ 12 ათას კაცს იტევს. ესპანელები საბოლოო გადაწყვეტილებას შაბათს მიიღებენ.

დევისის თასის ფინალი 4-6 დეკემბერს გაიმართება. ესპანეთს ამ მატჩში ტიტულის დაცვა უწევს.

# დოკიჩი შიმშილობს

ავსტრალიელი ჩოგბურთელის **ელენა დოკიჩის** მამამ - **დამირ დოკიჩმა**, რომელიც სერბეთის ციხეში 15-თვიან სასჯელს იხდის, მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ამის შესახებ ჟურნალისტებს უფროსი დოკიჩის ადვოკატმა **ბოსილკა ჯუკიჩმა** აცნობა.

ჯუკიჩის თქმით, მან ეს ინფორმაცია დამირის მეუღლისგან მიიღო. ჩოგბურთელის მამა უკვე მეორე დღეა უარს ამბობს საკვებსა და სასმელ წყალზე.

შეგახსენებთ, რომ დოკიჩი სერბეთის პოლიციამ მას შემდეგ დააპატიმრა, რაც ის სერბეთში ავსტრალიის ელჩის მანქანის აფეთქებით დაიმუქრა. დამირი დამნაშავედ სცნეს თავდასხმის მცდელობასა და იარაღის უკანონო შენახვაში - ყოფილ მწვრთნელს სახლში ნაღმსატყორცნი და რამდენიმე ხელყუმბარა უპოვნეს.

ოლიმპიზმი

# პოლიცია დოპინგის წინააღმდეგ



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყნებს ახალ მოთხოვნას უწესებს. 2018 წლიდან მოყოლებული, თამაშების ორგანიზატორი სახელმწიფოები უფლებამოსილებას გაუზრდიან პოლიციას. კერძოდ, სამართალდამცავები მკაცრად უნდა შეებრძოლონ სპორტსმენებს, რომლებიც აკრძალულ პრეპარატებს იყენებენ. ამისთვის პოლიციას რეიდებისა და შესაბამისი გამოძიების ჩატარების უფლებას მისცემენ.

2006 წელს, ტურინის ოლიმპიადაზე იტალიის პოლიციამ შეტყობინება მიიღო ოლიმპიური კომიტეტისგან და ჩხრეკა ჩაატარა სასტუმროში, რომელშიც ავსტრიის ნაკრების მოთხილამურეები და ბიატლონისტები იყვნენ დაბინავებული. რეიდმა შედეგი გამოიღო და იტალიელმა კარაბინიერებმა აკრძალული პრეპარატები ამოიღეს.

*„მაშინ პოლიციის მხარდაჭერა რომ არ გვქონოდა, ამ ჩხრეკას ვერ ჩავატარებდით"*, - ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე**.

სოკ-ის პრეზიდენტმა ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარეს სთხოვა, მოამზადოს შესაბამისი გეგმა, რომელიც სავალდებულო იქნება ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქებისთვის.

■ ■ ■

სამი ესპანური ქალაქი - სარაგოსა და მისი ორი გარეუბანი - უესკა და აკა ერთობლივი განაცხადის ორგანიზებასა და 2022 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას აპირებენ.

ეს ქალაქები არაგონის პროვინციაში მდებარეობენ. იქაური მთავრობა მხარდაჭერისთვის ესპანეთის ხელისუფლებასა და ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს მიმართავს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანს განაცხადს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში.

ესპანელებმა გადაწყვიტეს, რომ არ ღირს 2018 წლის თეთრი ოლიმპიადისთვის ბრძოლა, რადგან ოთხი წლით ადრე თამაშებს სოჭი უმასპინძლებს და სოკ-ი ზედიზედ ორჯერ ევროპაზე არჩევანს, ალბათ, არ გააკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ჩემპიონი ლეიკერსი იქნება

## ალენ აივერსონი რეგულარულის სტარტს გამოტოვებს



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბების გენერალურმა მენეჯერებმა მოქმედი ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" 2009-10 წლების სეზონის ფავორიტად დაასახელეს. კალიფორნიულ კლუბს ჩემპიონატში ზედიზედ მეორე ტრიუმფს გამოკითხულთა 60.7 პროცენტი უწინასწარმეტყველებს. ამის შესახებ NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

გამოკითხვაში მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს „ბოსტონ სელტიქსმა" და „კლივლენდ კავალიერზმა". თითოეულს ხმების 17.9 პროცენტი ერგო. 3.6 პროცენტი მიიღო „სან ანტონიო სპურსმა". „ორლანდო მეჯიქი", რომელმაც გასულ სეზონში ფინალამდე მიაღწია, არც ერთ გენერალურ მენეჯერს არ დაუსახელებია ჩემპიონობის პრეტენდენტად.

ეს გამოკითხვა ტრადიციულია. „ლეიკერსი" შარშანაც ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა მაშინ **ფილ ჯექსონის** გუნდმა ხმების გაცილებით ნაკლები პროცენტი (46) მიიღო.

სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის ბრძოლაში კლუბების ხელმძღვანელები უპირატესობას „კლივლენდის" ლიდერს, გასული სეზონის MVP-ს **ლებრონ ჯეიმს** ანიჭებენ, რომელმაც გამოკითხულთა ხმების 69 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზეა „ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** (17.2), მესამეზე - „ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** (6.9).

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „მემფის გრიზლისის" ახალბედამ **ალენ აივერსონმა** ფეხის ტრავმა მიიღო და ამის გამო რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრის გამოტოვება მოუწევდა. მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ვეტერანი ვარსკვლავის დაზიანება უფრო სერიოზულია, ვიდრე თავიდან ჩანდა და ალენს მკურნალობისთვის დაახლოებით სამი კვირა დასჭირდება.

ასე რომ, აივერსონი მთლიანად გამოტოვებს სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდს. ჯერჯერობით გაურკვეველია, მიიღებს თუ არა აივერსონი მონაწილეობას რეგულარული ჩემპიონატის პირველ მატჩში, რომელშიც „მემფისი" 28 ოქტომბერს „დეტროიტ პისტონზს" შეხვდება.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** ამჟამად ლონდონში იმყოფება, სადაც ინტერვიუ მისცა ტელეარხ CNBC-ის. სტერნის თქმით, უახლოეს მომავალში NBA-ის კლუბები ევროპაში არა მარტო საჩვენებელ, არამედ რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს ჩაატარებენ.

*„ეს დრო ახლოვდება, მაგრამ ზუსტი თარიღის დასახელება ჯერ არ შემიძლია. მთავარია, რომ საკითხი აქტიურად განიხილება. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში NBA-ში იქნება დივიზიონი, რომელიც მთლიანად წამყვანი ევროპული კლუბებით დაკომპლექტდება"*, - ამბობს დევიდ სტერნი.

■ ■ ■

„კლივლენდ კავალიერზის" მცველმა **დელონტე უესტმა** კიდევ ერთხელ დატოვა კლუბის საწვრთნელი ბანაკი. თუმცა ამჯერად კალათბურთელმა ამისთვის ხელმძღვანელობისგან შესაბამისი უფლება მიიღო. გუნდის ბოსებს სურთ, რომ მოთამაშემ საბოლოოდ მოაგვაროს პრობლემები და სრულფასოვან წვრთნას შეუდგეს. შეგახსენებთ, რომ უესტი არ გამოცხადდა „კლივლენდის" პირველ ოთხ ვარჯიშზე, თანაც მისი ასავალ-დასავალი კლუბში არავინ იცოდა.

*„უესტი ერთ-ერთი ჩვენთაგანია. როცა ის მოედანზე გავა, ყველა პრობლემა უკანა პლანზე გადაიწევს და მთლიანად კალათბურთზე იქნება კონცენტრირებული. იმედია, დელონტე მალე დაბრუნდება გუნდში"*, - ამბობს „კავალიერზის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი.

ჰოკეი

# რუა გაამართლეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ლეგენდარული მეკარის **პატრიკ რუას** ვაჟი - **ჯონათანი** სასამართლოს წინაშე წარდგა. ახალგაზრდა ჰოკეისტს თავდასხმასა და ჩხუბში იყო ედებოდა ბრალი. სასამართლომ ჯონათან რუა გაამართლა და მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე გააუქმა, რის შემდეგაც ჯონათანმა დანაშაული აღიარა.

ჯონათან რუას საქმის განხილვა კვებეკ-სიტიში გაიმართა. უმცროსმა რუამ განაცხადა, რომ აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა ერთ-ერთი მატჩის დროს მეტოქე გუნდის მეკარეს დაესხა თავს. ეს ინციდენტი შარშანდელ სეზონში მოხდა.

20 წლის სპორტსმენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება, რადგან რუა ამერიკაში გადასვლას და იქ მომღერლის კარიერის დაწყებას აპირებს. კანადის მთავრობამ პატრიკ რუას შვილის თხოვნა გაითვალისწინა და ის მეზობელ ქვეყანაში გაუშვა.

ამ გადაწყვეტილებამ იმდენად გაახარა ჯონათანი, რომ მან სპეციალურად გამოყო 5 ათასი დოლარი, რომელიც საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

**პიტსბურგი-ფინიქსი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ჟოვანოვსკი-1 (დოუნი-1, ა. ოკუანი-1), 0:2 პრუხა-1 (ვრბატა-1, ლანგი-1), 0:3 ვრბატა-3 (ჰანჟალი-1).



**ვანკუვერი-მონრეალი 7:1**

3:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 კესლერი-1 (ედლერი-2, ბიეკსა-2), 2:0 რეიმონდი-1 (კესლერი-2), 3:0 ბერნიე-1 (დ. სედინი-2, ჰ. სედინი-2), 3:1 ა. კოსტიცინი-1 (მიარა-4, პლეკანეცი-3), 4:1 ჰ. სედინი-2 (დ. სედინი-3, სალო-1), 5:1 ჰ. სედინი-3 (ერჰოფი-2), 6:1 სამუელსონი-2 (ერჰოფი-3, კესლერი-3), 7:1 ბაროუზი-2 (დ. სედინი-4, ჰ. სედინი-3).

კრივი

# კლიჩკომ ახალი მეტოქე აირჩია

სუპერმძიმე წონაში WBC-ის მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** 2010 წლამდე კიდევ ერთი ბრძოლის გამართვას აპირებს. უკრაინელი მოკრივის მენეჯერებმა 30 წლის **კევინ ჯონსონთან** მოილაპარაკეს. ეს ამერიკელი მეექვსე ადგილს იკავებს WBC-ის რეიტინგში.

ბრძოლის ჩატარების სავარაუდო თარიღია 12 დეკემბერი, ადგილი კი ჯერ არ არის გარკვეული, თუმცა იტყობინებიან, რომ მოკრივეებს შვეიცარია უმასპინძლებს.

უკრაინელმა სულ ახლახან ჩაატარა თავისი ბოლო ბრძოლა - 26 სექტემბერს მან ლოს-ანჯელესში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო ამერიკელ **კრის არეოლას** და საჩემპიონო ტიტული შეინარჩუნა.

ჯონსონს პროფესიულ რინგზე წაგება არ აქვს. ის 23-ჯერ გავიდა რინგზე, 22 გამარჯვებას მიაღწია (მათ შორის ცხრაჯერ ნოკაუტით) და ერთი ბრძოლა ფრედ დაასრულა. ბოლო ჩხუბი ამერიკელმა 2009 წლის მაისში გამართა და ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა თანამემამულე **დევინ ვარგასი**.

კევინს მაღალი დონის მოკრივეებთან არასოდეს უჩხუბია. უახლოეს პერიოდში ის ათენის ოლიმპიადის ჩემპიონთან, კუბელ **ოდლანიერ სოლისთან** აპირებდა ბრძოლას, მაგრამ ეს შეხვედრა გაუქმდა იმის გამო, რომ ჯონსონს კლიჩკოს ვარიანტი შესთავაზეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედისა და ირაკლისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო"

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| ევრო 2010 | |
| UNDER 19 | |
| საბერძნეთი-ბელარუსი | 1:0 |
| სერბეთი-ფარერები | 2:0 |
| ამხანაგური მატჩი | |
| ხორვატია-კატარი | 3:2 |
| შვედეთი | |
| II დივიზიონი | |
| ფალკენბერგი-ლანდსკრონა | 2:1 |
| ჩეხეთის თასი | |
| კარლოვი ვარი-სლავია | 1:1 პენ. 4:5 |
| კარვინა-ბრნო | 1:1 პენ. 5:4 |
| ნაჩოდი-სპარტა | 0:6 |
| ზნოიმო-სიგმა | 1:3 |
| არგენტინა | |
| კოლონი-არსენალი | 4:1 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| კჰლ | |
| მეტალურგი (ნ)-ამური | 5:2 |
| ავტომობილისტი-დინამო (რ) | 4:2 |
| მეტალურგი (მ)-დინამო (მნ) | 3:1 |
| ს. იულიაევი-სიბირი | 3:3 |
| ტრაქტორი-დინამო (მ) | 2:4 |
| სევერსტალი-აკ ბარსი | 3:1 |
| სკა-ნეფტეხიმიკი | 7:2 |
| ატლანტი-ლადა | 1:2 |
| ავსტრია | |
| ლინცი-ვენა | 4:2 |
| გერმანია | |
| იზერლონი-კასელი | 8:1 |
| ნორვეგია | |
| ლილეჰამერი-სპარტა | 2:1 |
| მანგლერუდი-ვოლერენგა | 0:1 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 5:5 |
| სტიორნენი-ფრისკ ასკერი | 3:3 |
| სლოვაკეთი | |
| კოშიცე-სკალიცა | 2:3 |
| ფინეთი | |
| იოკერიტი-ტპს | 1:3 |
| ლუკო-კიეკო | 2:2 |
| ჰიფკ-კალპა | 7:2 |
| ჰპკ-კერპეტი | 4:4 |
| ესეტი-პელიკანსი | 6:6 |
| ჩეხეთი | |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 2:6 |
| შვედეთი | |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 5:1 |
| ლულეა-იურგორდენი | 4:3 |
| როგლე-აიკ | 2:4 |
| სიოდერტალე-ბრიუნასი | 2:3 |
| ტიმრა-მოდო | 4:4 |
| ჰ371-ფერიესტადი | 8:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| ATP. პეკინი | |
| ლუბიჩიჩი-კუბოტი | 7:6, 4:6, 6:4 |
| ნადალი-ბლეიკი | 7:5, 6:7, 6:3 |
| ფ. გონსალესი-საფინი | 3:6, 4:6 |
| სიოდერლინგი-რობრედო | 6:3, 6:3 |
| ATP. ტოკიო | |
| სანტორო-ჰიუიტი | 6:3, 3:6, 1:6 |
| როჟე ვასელენი-მელცერი | 4:6, 6:2, 6:3 |
| გასკე-ცონგა | 6:4, 2:6, 2:6 |
| ა. ბეკი-ბერდიხი | 4:6, 1:6 |
| სიმონი-იუჟნი | 6:7, 7:6, 4:6 |
| მონაკო-გულბისი | 3:6, 1:6 |
| WTA. პეკინი | |
| ჟანგი-ბარტოლი | 1:6, 4:6 |
| ა. რადვანსკა-მარტინეს სანჩესი | 4:6 6:4, 6:2 |
| ზვონარევა-პენეტა | 6:3, 5:7, 7:5 |
| ს. უილიამსი-პეტროვა | 4:6, 6:3, 6:7 |

TV პროგრამა

**9 ოქტომბერი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი.
09:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
11:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბარსელონა-დინამო.
12:50 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
13:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
15:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-უდინეზე.
16:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი.
19:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:00 100% დინამო.
21:30 სპორტკლუბი.
22:25 ფეხბურთი. FootBrazil.
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
00:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:05 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტულუზა-ბრიუგე.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-დალასი (LIVE).
05:50 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კორინთიანსი-ატლეტიკო.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-პარტიზანი.
08:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
10:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
12:00 ფეხბურთი. FootBrazil.
12:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რეალი-მარსელი.
15:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:25 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტულუზა-ბრიუგე.
18:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი.
20:00 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
20:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-პორტსმუტი.
22:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი.
00:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რუბინი-ინტერი.
02:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი.
04:25 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
05:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.

**EUROSPORT**

11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
14:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი.
15:30 სნუკერი. გრან-პრი. 1/8 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.
16:30 სნუკერი. გრან-პრი. 1/4 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
20:30 სნუკერი. გრან-პრი. 1/4 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 სნუკერი. გრან-პრი. 1/4 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
00:00 სნუკერი. გრან-პრი. 1/4 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
01:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
01:25 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე.
02:20 ექსტრემალური სპორტი.
02:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე.

სხვადასხვა

**მძლეოსნობა**

## ოლიმპიური ჩემპიონი სპორტიდან მიდის

უროს ტყორცნაში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა **პრიმოშ კოზმუსმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარში ისიც დაამატა, რომ დაბრუნების უფლებას იტოვებს. 30 წლის სპორტსმენმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ სპორტიდან ჩემპიონის რანგში წასვლა სურს.

*„მინდოდა კარიერის გაგრძელება და მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარება, მაგრამ ამისთვის საკმარის ძალებს ვერ ვგრძნობ. კარიერის მწვერვალს უკვე მივაღწიე, ამიტომაც დამშვიდობების დრო მოვიდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კიდევ ვიფიქრებ, მაგრამ ამ მომენტისთვის სპორტის დატოვებისკენ ვიხრები"*, - ამბობს სლოვენიელი სპორტსმენი.

**ტრიატლონი**

## ექსი წელი დოპინგის მიღებისთვის

ბრაზილიელი ტრიატლონისტი, ორი ოლიმპიადის მონაწილე **მარიანა ოჰატა** დოპინგის მიღებისთვის ექვსწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. 2009 წლის ივნისში სპორტსმენი ფუროსემიდის მიღებაში ამხილეს. იმის გამო, რომ ეს მისთვის აკრძალული პრეპარატის გამოყენების მეორე ფაქტი იყო, 31 წლის ბრაზილიელს ასეთი მკაცრი სასჯელი მისცეს.

მარიანას მიერ დოპინგის მიღების პირველი შემთხვევა 2002 წლით თარიღდება და მაშინ ტრიატლონისტს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს, რამაც მას ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება მისცა, თუმცა იქ მხოლოდ 37-ე ადგილი დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# ფერარი ისევ იმუქრება

„ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მისამართით მუქარის მორიგი განცხადება გააკეთა. „სკუდერიას" შეფი აცხადებს, რომ თუ მსოფლიოს ჩემპიონატის რეგლამენტში ცვლილებები არ განხორციელდება, „ფერარი" 2012 წელს „დიდ ცირკს" დატოვებს.

*„ფორმულა 1-ში ბევრი რამ არის შესაცვლელი. მან უნდა დაიბრუნოს გულშემატკვირების ინტერესი და ნდობა. არ შეიძლება ყოველ წელს წესების ცვლა. ასეთი ფორმულა 1 არავის მოსწონს. ჩვენ გვაქვს კონტრაქტი, რომელიც 2012 წელს მთავრდება. შესაბამისად, საკმარისი დრო გვაქვს იმისთვის, რომ მომავალ გეგმებზე დავფიქრდეთ, მათ შორის რბოლების დატოვებაზეც"*, - აცხადებს „ფერარის" პრეზიდენტი.

როგორც იცით, დღეისთვის „სკუდერიას" ერთ-ერთი მოთხოვნა ის არის, რომ ფედერაციამ წამყვან გუნდებს ტრასაზე სამი ბოლიდის გამოყვანის უფლება მისცეს.

# კუბიცა რენოშია

## ფრანგული საჯინიბო ბრაზილიაში გროსჟანის დე გრასით შეცვლას აპირებს

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგულმა საჯინიბო „რენომ" დაადასტურა პოლონელ **რობერტ კუბიცასთან** კონტრაქტის გაფორმება. 2010 წელს „BMW-ზაუბერის" პილოტი **ფერნანდო ალონსოს** შეცვლის, მისი მეწყვილის ვინაობა კი ჯერ ცნობილი არ არის.

*„მოხარული ვარ „რენოსთან" კონტრაქტის გაფორმებით. ამ გუნდთან განსაკუთრებულ კავშირს ვგრძნობ, რადგან 2005 წელს „რენოს" მსოფლიო სერიის ჩემპიონი გავხდი. შემდეგ გუნდმა ტესტებზე მიმიწვია და მალე ფორმულა 1-ში დებიუტიც შედგა.*

*აბსოლუტურად ვიზიარებ „რენოს" სტრატეგიას, მის სწრაფვას გამარჯვებისკენ, აგრეთვე გუნდში არსებულ მეგობრულ და ღია ატმოსფეროს. დიდი მოტივაცია გამაჩნია და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ. იმედი მაქვს, ახალ სეზონში ტიტულისთვის ბრძოლის საშუალება მომეცემა"*, - აცხადებს კუბიცა.

■ ■ ■

ამასობაში ვრცელდება ცნობა იმის შესახებ, რომ „რენომ", შესაძლოა, ამ სეზონში კიდევ ერთი ცვლილება შეიტანოს პილოტთა შემადგენლობაში. როგორც გერმანული Auto Motor und Sport-ი წერს, ფრანგული საჯინიბო ბრაზილიის გრან-პრისთვის **რომენ გროსჟანის** ბრაზილიელი **ლუკას დე გრასით** შეცვლას აპირებს. საქმე ისაა, რომ „რენოდან" **ფლავიო ბრიატორეს** წასვლის შემდეგ, ფრანგი პილოტის პოზიციები შესამჩნევად შეირყა. თანაც, სეზონის შუაში **ნელსინიო პიკეს** შეცვლის შემდეგ, გროსჟანს განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია.

კომპანია „რენოსთვის" ბრაზილიური ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია. როცა ფრანგები ნელსინიო პიკესთან აფორმებდნენ კონტრაქტს, ამ ღონისძიებას ბრაზილიის პრეზიდენტიც ესწრებოდა. ახლა კი პიკე გუნდიდან დათხოვნილია, რის გამოც ბრაზილიაში „რენოს" მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება შეინიშნება. ფრანგებს სწორედ ამის გამოსასწორებლად სურთ დე გრასის დაწინაურება. ეს პილოტი წარმოშობით სან-პაულუდანაა და „რენოს" სათადარიგო პილოტის მოვალეობებს ასრულებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ფოლკსვაგენი ფორმულას უმიზნებს

იმდროს, როცა ავტოწარმოების ორმა გიგანტმა („ჰონდა", BMW) ფორმულა 1 დატოვა, ამ სერიაში მოსვლას გეგმავს გერმანული „ფოლკსვაგენი", რომელიც „პორშეს" ან „აუდის" მარკით ვარაუდობს რბოლებში გამოჩენას. თუმცა გერმანელები „დიდ ცირკს" იმ შემთხვევაში შეუერთდებიან, თუ ფორმულა 1-ში ახალი რეგლამენტის მიხედვით დანახარჯები შემცირდება.

*„დღეს ფორმულა 1-ის ჩემპიონატში მონაწილეობა 100 მილიონ ევროზე მეტი ჯდება. თუ ხარჯი დაიკლებს, ჩვენი რბოლებში მისვლა რეალური გახდება. ვფიქრობ, მომავალი გუნდის სახელს დიდი მნიშვნელობა არ აქვს - ეს შეიძლება იყოს ჩვენს გუნდში შემავალი „პორშე", „აუდი" ან თუნდაც „ფოლკსვაგენი".*

*ჩვენ მოგებაზე ვმუშაობთ, იმ დროს, როცა ბევრი მინუსში იმყოფება. შარშანდელთან შედარებით, სინგაპურში გაყიდვები შვიდი პროცენტით გაიზარდა და რთული პერიოდის მიუხედავად, ჩვენი დილერი ახალ სადემონსტრაციო დარბაზს აშენებს"*, - ამბობს Audi Singapore-ის მმართველი **რეინოლდ კარლი**.






გამოკითხვა

# ყველაზე გავლენიანები

ჟურნალმა Askmen-მა ტრადიციული გამოკითხვა ჩაატარა და 2009 წლის 49 ყველაზე გავლენიანი ადამიანი გამოავლინა. დაახლოებით ნახევარმა მილიონმა ადამიანმა ამ სიაში 14 სპორტსმენიც მოახვედრა.

სპორტის სფეროდან აქ ვხედავთ სამ კალათბურთელს, ორ-ორ წარმომადგენელს ჩოგბურთიდან და ფეხბურთიდან და თითო-თითოს - მძლეოსნობიდან, ამერიკული ფეხბურთიდან, კრივიდან, გოლფიდან, ჰოკეიდან, ფორმულა 1-დან და ველოსპორტიდან.

რეიტინგს სათავეში უდგას ტელესერიალ Mad Men-ის გმირი **დონ დრეიპერი** (მსახიობ **ჯონ ჰემის** როლი). სამეულში მოხვდნენ იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** და ამერიკის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა**. სრულად სპორტსმენების სია ასე გამოიყურება:

2. უსაინ ბოლტი (მძლეოსნობა)
8. როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი)
9. პეიტონ მენინგი (ამერიკული ფეხბურთი)
22. ლეიონელ მესი (ფეხბურთი)
24. მენი პაკიაო (კრივი)
28. კრისტიანო რონალდო (ფეხბურთი)
30. ტაიგერ ვუდსი (გოლფი)
33. კობი ბრაიანტი (კალათბურთი)
34. სიდნი კროსბი (ჰოკეი)
35. ენდი როდიკი (ჩოგბურთი)
42. ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი)
43. დუეინ ჯეიდი (კალათბურთი)
48. ჯენსონ ბატონი (ფორმულა 1)
49. ლენს არმსტრონგი (ველოსპორტი)

